საერთო გაზეთი

№46 (457) • 20 დეკემბერი, 2017წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

არ შეიძლება სახელმწიფო სურამის ცხენედ ვაქციოთ, რომლის კედლებში დროგამოშვებით ვილაც-ვილაცები უნდა ჩავაჭანოთ

„გიორგი კვირიკაშვილმა თქვა ის, რაც საფუძველთასაფუძველია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისა და განვითარებისთვის“

გოგი თოფაძე:
ვაპირებ, იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ჩემს ოჯახს დაუმსახურებლად ლანძღავენ, სასამართლოში სარჩელი შევიტანო

ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, სააკაშვილი კი ბიძიან-ნათესავებიანად, კგბ-დან მოდის?!

უვარგისი კაცი ქართული ცხისთვისაც უვარგისია და უკრაინულისთვისაც

რას ბურჭალობს ბურჭულაძე?

რა პრობლემებს შეუქმნის მძღოლებს ავტომანქანების პერიოდული ტექ-შემოწმება?

მარი ლე პენი:
ევროკავშირი საშინელი ორგანიზაციაა!..

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე ოჯახებისთვის

არ შეიძლება სახელმწიფო სურამის ციხედ ვაქციოთ, რომლის კედლებში დროგამოშვებით ვილაც-ვილაცები უნდა ჩავაფანოთ

ვახტანგ ხარჩილავა:

„გია გაჩეჩილაძეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და თუ დადასტურდება მთავრობის ბრალეულობა, მზად ვარ, დავტოვო თანამდებობა“, – ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „უცნობის“ ბრალდებებს იმის შესახებ, თითქოს ტენდერებს მხოლოდ ხელისუფლების წევრებთან დაკავშირებული კომპანიები იგებენ.

პრემიერის ამ სრულიად ადეკვატურ და ლოგიკურად სწორ განცხადებას, რომელსაც ნებისმიერ სამართლებრივად მოწესრიგებულ სახელმწიფოში მხოლოდ მიესალმებოდნენ, საქართველოში კრიტიკა და „საქმის გარჩევები“ მოჰყვა.

არადა, გიორგი კვირიკაშვილმა პირველმა (სხვა შემთხვევებს ვერ ვიხსენებ) გააკეთა ისეთი განცხადება, როგორსაც უნდა აკეთებდეს მაღალი თანამდებობის პირი, რომელსაც პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია.

ჩვენ შევეჩვიეთ ისეთ სიტუაციას, როცა სხვადასხვა რანგის ამა თუ იმ ჩინოვნიკის თუ პარლამენტარის მისამართით დიდი ხნის განმავლობაში სისტემატურად ისმის მძიმე ბრალდებები, ამ ბრალდებების ადრესატი კი დუმს, თითქოს მას ეს არც ეხება.

რამდენი პუბლიკაცია წაგვიკითხავს, რამდენი გადაცემა გვინახავს, სადაც ამა თუ იმ საჯარო პირის საეჭვო და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ყოფილა საუბარი, თუმცა ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია – ბრალდებების ადრესატები ერთ ყურში შეუშვებენ ამ ბრალდებებს, მეორე ყურიდან გამოუშვებენ და არხეინად აგრძელებენ „მოღვაწეობას“.

მათ მიერ არჩეული ტაქტიკა: ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ – დაიღლებიან და გაჩერდებიან! – სხვა არაფერია. თუ არა საზოგადოების აბუჩად აგდება, საზოგადოების სრული იგნორირება და იმის არცოდნა, რომ, როცა სახელმწიფო მოხელე ხარ, ეს ავტომატურად გაკისრებს ვალდებულებას, დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხი გასცე შენს წინააღმდეგ გაჟღერებულ ყველა ბრალდებას და თუ მართალი ხარ, შენი სიმართლე უნდა დაამტკიცო, თუ დამნაშავე ხარ – უნდა გადადგე!

გიორგი კვირიკაშვილმა დემოკრატიულ ქვეყანაში სახელმწიფო მოხელისთვის სავალდებულო ეს ნორმა შეგვახსენა თავისი განცხადებით, რითაც, როგორც მთავრობის მეთაურმა, შესანიშნავი მაგალითი აჩვენა სხვებსაც, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ მსგავს შემთხვევებში.

ყოველივე ამის შემდეგ, გასაკვირია, რატომ უნდა გამხდარიყო კრიტიკის საგანი პრემიერის ეს განცხადება, რომელიც, როგორც ვთქვით, მისასალმებელი და მისაბაძი იქნებოდა ნებისმიერ სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში?

ხომ არ ნიშნავს ყველაფერი ეს იმას, რომ გიორგი კვირიკაშვილს კი არა, სწორედ იმ ადამიანებს აქვთ მენტალური პრობლემები სახელმწიფოებრივი აზროვნების კუთხით, რომლებიც კვირიკაშვილს პრობლემისადმი არასახელმწიფოებრივ მიდგომაში ადანაშაულებენ?

სხვანაირად როგორ ავხსნათ და როგორ გავშიფროთ იგივე „უცნობის“ მიერ კვირიკაშვილისთვის გაგზავნილი სენტიმენტალურ-რომანტიკული ხასიათის მესიჯები, რომლებიც თვითონ მან გაასაჯაროვა და რომლებშიც ძირითადი პათოსი ძმაკაცობასა და მეგობრობაზეა აქცენტირებული.

რადგან მეგობარი ხარ, იმსახურებ ამას თუ არ იმსახურებ, მაინცდამაინც ტენდერში უნდა გაგამარჯვებინო და თუ ამას არ გავაკეთებ, ცუდი კაცი ვარ?

ან როგორ უნდა გავიგოთ „უცნობის“ მიერ რამდენჯერმე ხაზგასმულად, სახალხოდ გაჟღერებული ინფორმაცია, რომ ის და გიორგი კვირიკაშვილი მეგობრები არიან?

ამით „უცნობი“ ვიღაც-ვიღაცებს თითს ხომ არ უქნევდა და ხომ არ აშანტაჟებდა – ეი, თქვენ მანდ არაფერი შეგეშალოთ, მე და კვირიკაშვილი მეგობრები ვართო.

ყოველივე ამის შემდეგ როგორ არ უნდა გაგიკვირდეს, ეს ადამიანი სხვებს რომ უკიჟინებს, მიკერძოებულად და არაობიექტურად იღებენ გადაწყვეტილებებსო.

– „უცნობი“ საკანში იჯდა თვეების განმავლობაში, არ გაჩერდება ეს კაცი და კარგიაო, – ბრძანა ექსპერტმა გია ხუხაშვილმა.

კი, მაგრამ, რა არგუმენტია ეს, რა შუაშია კარავში ჯდომა ტენდერში გამარჯვებასთან?

კი, ბატონო, გვახსოვს, „უცნობი“ კარავში რომ იჯდა და ამასთან ერთად ისიც გვახსოვს, მისი ძმა ხაფი ხმით რომ გაჰყვიროდა – მიშა, მოვდივარ! მიშა, მოვდივარ-ო, მაგრამ როცა უკვე თითქმის მისული იყო, თავის ძმასთან ერთად სადღაც უკვალოდ გაქრა და ათიათასობით ადამიანი პირში ჩალაგამოვლებული შეატოვა მიშას.

ამბობენ, „გრეჩიხები“ სააკაშვილს გაურიგდნენ და ამაში მილიონები აიღესო.

არ ვიცით, რამდენად მართალია ეს, თუმცა გამორიცხული არაფერია, მით უმეტეს იმ რეალობაში, როცა პოლიტიკა ვიღაც-ვიღაცებმა პოლიტიკური ტენდერების კონკურსად და ბიზნესსაქმიანობის ახალ დარგად აქციეს.

ასე იყო თუ ისე, გაურკვეველი მიზეზებით ბრძოლის ველიდან უცებ გამქრალი „გრეჩიხების“ წყალობით სააკაშვილს ხელ-ფეხი გაეხსნა და კიდევ ოთხი წელიწადი ლაღად „იმეფა“ მის მიერ დაპყრობილ და გაპარტახებულ ქვეყანაში.

ტენდერების სკანდალთან დაკავშირებულ დისკუსიაში კიდევ ერთი პროფესიონალი „საქმის გამრჩევი“ ჩაერთო გია ხუხაშვილის სახით.

გია ხუხაშვილი – ყველაფრის მცოდნე „უნივერსალი“, ყველაფრის ექსპერტი, ყველაფერში „კომპეტენტური“, ისეთი მენტორული ტონით არიგებს რჩევა-დარიგებებს, დასკვნებს, შეფასებებს ბეჭდური თუ ელექტრონული მედიიდან, თითქოს ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია თვითონ იყოს.

მერე რა, რომ მის საუბარს ცოტა მოძველებიჭო ელფერი დაჰკრავს, მაგრამ სხვა კუთხიდან თუ შევხედავთ, ეგ სულაც არ არის „გრეხი“ – პირიქით, ასეთი ტონი „საქმის გამრჩევის“ „განაჩენს“ მეტ წონას და ავტორიტეტს სძენს.

„სახელმწიფოებრივად მოაზროვნე“, „ობიექტურმა“ და „მიუკერძოებელმა“ მედიატორმა გია ხუხაშვილმა, იმის ნაცვლად, რომ გიორგი კვირიკაშვილის კომენტარში გადადგომის შესახებ სწორედ ის სამართლებრივად ფორმა და პოზიცია დაენახა, ერთი ძველებიჭურად გაიქნია ხელი და – ვის აშინებს თავისი გადადგომით? გადადგება და გადადგესო, – ბრძანა და იქვე მიაყოლა, – გიორგი კვირიკაშვილი არის საშუალო ჰორიზონტის ადამიანი, რომელმაც არ ივარგა პოლიტიკურ ლიდერად, ეკონომიკის და ბიზნესის ხელშემწყობად, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გაგებაში არაა...

– სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გაგებაში მე ვარ, მაგრამ ვინ მაფასებსო – მართალია, არ უთქვამს ხუხაშვილს, მაგრამ ეს მისი საუბრის ქვეტექსტში იგულისხმებოდა.

კი, მაგრამ, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის ეს დიდი სპეციალისტი გია ხუხაშვილი არ

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იყო, კეზერაშვილის „პიქსელში“ რომ იჯდა მთელი ერთი წელი და „საქართველოს განვითარების ფონდი“ რომ შექმნა, თუმცა მისი განვითარებული საქართველო არავის უნახავს, სამაგიეროდ, თუ არ მეშლება, მილიონამდე ლარი, რომელიც მას ჩაერიცხა, როგორც ამბობენ, ფრიად მარჯვედ და ცქვიტად აითვისა.

ხუხაშვილზე ამბობენ, თუ კაცის გულის მონადირება დასჭირდა, პირდაპირ ამ კაცის ვენაში შედის თაფლად და შარბათადო, მაგრამ ბოლო ცდაზე არ გაუმართლდა – არ მიიღო იმ კაცის ვენამ ხუხაშვილის თაფლი და შარბათი.

ხუხაშვილი „პალაჟენიებს“ ალაგებდა ბიზნესში, ბიზნესმენებიდან ზოგს იღებდა, ზოგს არ იღებდა, ზოგს უსმენდა, ზოგსაც არ უსმენდა და მტყუან-მართალს თავისი სიმპატია-ანტიპატიის მიხედვით ადგენდა.

ზოგიერთი ჟურნალისტი თუ ჰკითხავდა: – ბატონო გია, „პიქსელში“ რომ ზიხართ, თუ იცით, რომ ეს შენობა კეზერაშვილისაა და ისიც თუ იცით, ვინ არის კეზერაშვილიო, – ხუხაშვილი სიტყვას ბანზე აუგდებდა „ინტრიგანს“ და ცოცხალი თავით პასუხს არ იძლეობდა.

ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ კეზერაშვილმა საქართველო არ დატოვა და ისრაელის მიწაზე მშვიდობიანად არ დაეშვა.

აი, მაშინ კი, იცოცხლე, ხუხაშვილმა კეზერაშვილს სულ ბანდიტი და გარეწარი უძახა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ „უკან მიდევნებული ლამპარი“ სამშვიდობოს გასულ კეზერაშვილს ვერას დააკლებდა.

აი, ასეთი „უშიშარი“ კაცია ბატონი ხუხაშვილი – უკეთურობას და ბოროტებას უკანა რიცხვით „ებრძვის“.

●

ეს წერილი არც გიორგი კვირიკაშვილის დასაცავად დაწერილა და არც მასთან დაპირისპირებული ადამიანების გასაკრიტიკებლად.

უბრალოდ, ამ წერილით იმის თქმა მინდოდა, რომ, როცა მთავრობის მეთაური სამართლებრივად და სახელმწიფოებრივად აბსოლუტურად სწორ და პრინციპულ მიდგომას ირჩევს, არ შეიძლება ეს ნაკლად და შეცდომად ჩაუთვალო.

გიორგი კვირიკაშვილმა თქვა ის, რაც საფუძველთსაფუძველია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისა და განვითარებისთვის – უნდა გაგაჩნდეს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე და თუ შეცდომას დაუშვებ, უნდა გადადგე.

აი, ეს უნდა იყოს სავალდებულო ნორმა ნებისმიერი საჯარო პირისთვის და ვინც ამის წინააღმდეგ მიდის, ის უკან მიათრევს საქართველოს ძველ დროში, როცა ქვეყნის ბედს მაფიური შეფერილობის „სასტავები“, საძმოები თუ კლანები განაგებდნენ.

ვერ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით ყველაფერი წესრიგშია და საქართველო უკვე გათავისუფლდა წარსულის ამ მახინჯი მემკვიდრეობისგან.

ეს უკიდურესად მძიმე და ღრმა ფესვების მქონე მემკვიდრეობაა, რომელიც მეტასტაზებივით არის გამჯდარი ქართული სახელმწიფოს სხეულში და ამ მეტასტაზების ერთბაშად, ქირურგიული ჩარევის გზით მოშორების მცდელობამ შეიძლება ქართული სახელმწიფო შეიწიროს.

90-იანი წლების სამოქალაქო კონფლიქტის დროს ძარცვითა და ყაჩაღობით ნაშოვნი მილიონები, მხედრიონის ზეობის დროს ასევე ძარცვითა და ყაჩაღობით

ნაშოვნი მილიონები, შევარდნაძის დროს „პრიხვატიზაციით“, მოსახლეობის ანაბრების მითვისება-მიტაცებით, სოკოებივით უცებ აღმოცენებული ბანკების მეშვეობით ნაშოვნი მილიონები, იმავე პერიოდში არნახული მასშტაბების კორუფციით ნაშოვნი მილიონები, სააკაშვილის დროს ელიტური კორუფციით, ბიუჯეტის ძარცვით, მოსახლეობის დაყაჩაღებით ნაშოვნი მილიონები – აი, ეს ფული, რომლის ჯამი მრავალ მილიარდს აღწევს, ტრიალებს დღეს საქართველოში და, ცხადია, ამ მილიარდებს თავისი პატრონები ჰყავთ, რომლებსაც თავიანთი ბიზნესინტერესები აქვთ ყველგან და ყველაფერში, ეს ინტერესები კი ხშირად ეჯახება და უპირისპირდება მოსახლეობის და სახელმწიფოს ინტერესებს.

თუ არ მოხდება ამ საკმაოდ კოშმარული სურათის ზუსტი ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე რევოლუციური ხასიათის რეფორმები, სიტუაციას ვერც ეს მთავრობა შეცვლის და ვერც მომდევნო მთავრობები...

ქვეყანა, დიდი ხანია, ზემოთნახსენები ამ ძალების მძევალია და მათგან თავის დახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ჩამოყალიბდება სახელმწიფოს ინტერესებზე დაფუძნებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფცია.

რაც შეეხება ტენდერებს, როგორც ნახეთ, მე ამ წერილში ერთი სიტყვაც არ მითქვამს იმის შესახებ, ვინ შეიძლება იყოს მტყუანი ან მართალი ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

ამას კომპეტენტური ორგანოები და სასამართლო დაადგენს და, ამდენად, ამ თემით სპეკულაცია და ჭორაობა – გადადგება თუ არ გადადგება კვირიკაშვილი, უზნეობად და რაღაც კულუარული თამაშების ნაწილად მიმაჩნია.

იქნებ, ის კი არ არის მთავარი, ვინ გაიმარჯვა და ვინ დამარცხდა ამა თუ იმ ტენდერში, არამედ ის, რამდენად გამართლებული და რამდენად საჭიროა ტენდერების იმ ფორმებით და იმ წესებით ჩატარება, როგორც ეს დღევანდელ პრაქტიკაშია დამკვიდრებული.

ინტერნეტის ეპოქაში, როცა ხელმისაწვდომია ყველანაირი ინფორმაცია ყველანაირი კომპანიის საქმიანობაზე, ყველანაირ პროდუქციაზე, რატომ არის ძნელი, სახელმწიფომ თვითონ მოიძიოს მისთვის საჭირო ავტომანქანა თუ აღჭურვილობის... აპეჯი და ამაში შუამავალ პირებს და ორგანიზაციებს ბიუჯეტიდან, ანუ ხალხის ფულიდან მილიონები არ უხადოს?

იქნებ სჯობს ამ მიმართულებით ვიფიქროთ, თორემ სინამდვილეში ხალხისა და ქვეყნისთვის რა მნიშვნელობა აქვს პეტრე წაიღებს ამ მილიონებს თუ პავლე?

და ბოლოს: ცდება, ვინც გვარწმუნებს, რომ ამა თუ იმ პერსონის გადადგომით ან ქვეყანა დაიქცევა, ან აშენდება.

კვირიკაშვილის გადადგომით, ცხადია, ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ არ აშენდება.

ჩვენ, პირველყოვლისა, იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ ავაშენოთ ეს ქვეყანა და არა იმაზე, ვინ და რა პერიოდულობით ჩავატანოთ სურამის ციხედ ქცეული ქვეყნის კედლებში.

გოგი თოფაძე: ვაპირებ, იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ჩემს ოჯახს დაუმსახურებლად ლანძღავენ, სასამართლოში სარჩელი შევიტანო

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ მომღერალმა გია გაჩეჩილაძემ („უცნობმა“) განაცხადა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი მისი სიძის, გიორგი შარაშიძის კომპანიამ „სიტროენ ჯორჯია“ უსაფუძვლო მიზეზების გამო წააგო.

იმავე დღეს შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოს წევრმა მამუკა ტუსკაძემ თქვა, რომ კომპანია „სიტროენ ჯორჯია“ ტენდერიდან „ჰიუნდაი ავტომ“ მოხსნა, რომლის მფლობელი გოგი თოფაძის შვილი ირაკლი თოფაძე გახლავთ. ტუსკაძის თქმით, ხეჩიკაშვილის „იბერ კომპანი“ ტენდერში მეოთხე ადგილზე გავიდა და მისი დოკუმენტაცია არც განუხილავთ. რაც შეეხება „სიტროენს“, მისი ტენდერიდან უკანონოდ მოხსნა „ჰიუნდაი ავტოს“ მიერ, ჯანდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით მოხდა. „შარაშიძემ და გია გაჩეჩილაძემ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანეს, რადგან თქვეს, რომ ერთ-ერთი კომპანია არის ტარიელ ხეჩიკაშვილის. ხეჩიკაშვილის კომპანია ტენდერში მონაწილეობდა, მაგრამ მან მეოთხე ადგილი აიღო. მეორე ადგილზე გავიდა „ჰიუნდაი ავტო“, რომელიც საერთოდ არ არის დაკავშირებული ხეჩიკაშვილთან. ის არის თოფაძეების კომპანია. აღნიშნული კომპანიის დირექტორი თვითონ არის, ქონების მოგებას იღებს და ა.შ.“ „სინამდვილეში, პრემიერ მინისტრი და მისი მეგობარი ერთმანეთს იმის გამო დაუპირისპირდნენ, რომ თოფაძემ ტენდერი მოიგო. შემიძლია ღიად ვთქვა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ინტერესი ჰქონდა“- განაცხადა მამუკა ტუსკაძემ.

დავების საბჭოს წევრის ბრალდებებს გამოეხმაურა „ჰიუნდაი ავტო ჯორჯიას“ მფლობელი დავით გიორგობიანი. მისი განმარტებით, ირაკლი თოფაძე მისი ბავშვობის მეგობარია და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს პრეზიდენტად მხოლოდ ფიქტიურად დაინიშნა. მას კომპანიაში არ აქვს ხელფასი, არ ფლობს აქციებს და „ჰიუნდაი ავტო ჯორჯიას“ აქციების 100%-ის მფლობელი თავად დავით გიორგობიანია.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პარტია მრეწველების ლიდერი მისი ოჯახის მისამართით გაჟღერებული ბრადებების გამო, სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს, ამიტომ კომენტარისთვის გოგი თოფაძეს დავუკავშირდით:

– ჩემს შვილს კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველოში“ არავითარი წილი არ აქვს. კომპანიის 100%-იანი მფლობელი დათო გიორგობიანია. ის უწესიერესი კაცი გახლავთ და ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობთ. მამამისი 20 წლის მანძილზე ჩემი მოადგილე იყო და ჩვენი შვილებიც მეგობრები არიან. როდესაც დათომ კომპანია ჩამოაყალიბა, ჩემს შვილს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეობა შესთავაზა და ირაკლიც დათანხმდა. ეს იყო და ეს. ალბათ, 3-4 წელია, ირაკლი იქ არ ყოფილა. ტენდერი თუ ტარდებოდა, ჩემს შვილს წარმოდგენა არ ჰქონდა. იმ დროს, სერიოზულ ოპერაციას უკეთებდნენ და რა ეტენდერებოდა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც ამიტომ იყო გამორიცხული მისი ამ საქმეში მონაწილეობა, მაგრამ ვიღაცეებმა შეთხზეს, რომ „თოფაძეების კლანის“ ბრალია, რომ გაჩეჩილაძის სიძემ ტენდერი წააგო.

– როგორც ვიცი, სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავთ..

– დიახ, ვაპირებ იურისტებს შევხვდე და ზურაბ ჭიაბერაშვილის და მამუკა ტუსკაძის წინააღმდეგ, რომლებიც ჩემს ოჯახს დაუმსახურებლად ლანძღავენ, სასამართლოში სარჩელი შევიტანო. მე საქმეს აღვძრავ და დააჯარიმებენ თუ ბოდიშს მოიხდიან, სასამართლომ გადაწყვიტოს. სასამართლოს გარდა, ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოებიც არსებობენ, რომლებიც ამ საქმეს შეისწავლიან და დაადგენენ, იყო ჩვენი მხრიდან ჩარევა თუ არა.

გიორგი კვირიკაშვილი სულ ახალგაზრდა იყო, რომ გავიცანი და ვიცნობ, როგორც უწესიერეს ადამიანს. მე როგორც ვიცი, ტენდერის საქმეში არავითარი კანონის დარღვევა არ ყოფილა.

ნელი თორდია
571 35 36 88

ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, სააკაშვილი კი ბიძიან-ნათესავებიანად, კგბ-დან მოდის?!

უკრაინის გენპროკურორმა ლუცენკომ სააკაშვილი ღიად დაადანაშაულა კრემლთან კავშირში, კიევში „რუსული ზამთრის“ სცენარის განხორციელება აღვკვეთეთ, მაგრამ სააკაშვილის ქმედებები მოსკოვის ამ გეგმის მცირე ნაწილია, შემიძლია დავაანონსო, რომ გაგრძელება იქნებაო. „გაგრძელებასაც“ არ დაუყოვნებია, ციხეს „თავდაღწეულმა“ სააკაშვილმა დამოუკიდებლობის მაიდანი არ იმყოფინა და ბარბალობადღეს კიევის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის შენობაზე მიიტანა იერიში, „იმპიჩმენტის მარშის“ შტაბი ამ შენობაში უნდა მოვაწყოთო. კიევურმა ცივმა ზამთარმა ეტყობა ძალიან შეაწუხა მოხეტიალე „რევოლუციონერი“ და კარვების ქალაქიდან თბილ შენობაში გადაწყვიტა გადაბარგება. მერე რა, რომ „ოქტომბრის სასახლის“ სახელით ცნობილ შენობაში იმ დროს წინასაახალწლო სპექტაკლი მიმდინარეობდა, რომელსაც ბავშვებიც ესწრებოდნენ. სააკაშვილის მომხრეებმა ლიდერის მოწოდების შემდეგ, ჩაამსხვრიეს საუკუნოვანი შენობის ფანჯრები, კარიც შეამტვრიეს, მაგრამ იქ გამაგრება ვეღარ შეძლეს. უკრაინელ სამართალდამცავებთან შეხლა-შემოხლის შემდეგ, რის გამოც ათეულობით ადამიანი დაშავდა ორივე მხრიდან, „პროტესტანტებმა“ უმაღლესი რადის შენობასთან გადაინაცვლეს, სადაც ასევე მიმდინარეობს აქცია. პირვანდელ პოზიციებზე დაბრუნება კვლავ სააკაშვილის „დამსახურება“ ყოფილა, მან მოუწოდა „მრევლს“ მისამართი შეეცვალა თ. ქამელეონს შემურდება ასეთი მყისიერი ფერიცვალობა, რასაც პრეზიდენტყოფილი განიცდის. მე რა შუაში ვარ, მშვიდობიან აქციას ვატარებდი, პროტესტანტები პროვოკატორებმა „შეაცდინეს“, რომლებიც ნიღბებით იყვნენ მოსული აქციაზე, მათ მოუწოდეს ხალხს შტურმისკენო, თავი იმართლა მიშა-ბატონმა. საინტერესოა, ვის გულისხმობს სააკაშვილი ამ „პროვოკატორებში“, მისი ბოლო განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პოროშენკოს წრეს ნამდვილად არა, რადგან ექსმეგობართან თურმე „ეპისტოლურ ჟანრში“ ურთიერთობს, თავიდან კი უარყო, რა წერილიო, მაგრამ მერე აღიარა და ისიც დაამატა, ჩვენ საერთო მტერი გვყავსო. ჟურნალისტ დიმიტრი კისელიოვს, კიევურმა შტურმმა ასი წლის წინანდელი პეტერბურგი გაახსენა, ამ შენობაშიც, ისევე, როგორც სმოლნში, 1917 წლის რევოლუციამდე კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი იყო განთავსებული, არ ვიცი თვლის თუ არა სააკაშვილი თავს ლენინად, მაგრამ რატომღაც მისმა მომხრეებმაც ზუსტად ხსენებული ინსტიტუტის ყოფილ შენობაში მოინდომეს რევოლუციური შტაბის მოწყობაო. რუსი ჟურნალისტების შეფასებით, სააკაშვილს ხალხის, მათ შორის ბავშვების სიცოცხლე არაფრად უღირს და საკუთარი ინტერესების გამო, ყველაფერზე წამსვლელია. მათ დამატებით არგუმენტად ქართველი სნაიპერების მიერ, იტალიელი ჟურნალისტისთვის მიცემული ინტერვიუ მოყავთ, სადაც რესპოდენტები ყვებიან როგორ ესროდნენ ქართველი და ლიტველი სნაიპერები „ევრომაიდნის“ მონაწილეებსა და სპეცრაზმელებს. რამდენად გაიზიარებს უკრაინის პროკურატურა-სასამართლო ამ აღიარებას, ძნელი სათქმელია, თუმცა წინასწარ უკვე ითქვა, რომ რახან ეს ხალხი უარს აცხადებს უკრაინაში ჩამოვიდნენ და ისე მისცენ ჩვენება, მათ ინფორმაციას მტკიცებულების ძალა არ ექნება. ბუნებრივია, ნაგვიანევად „სინდისგაღვიძებულები“ სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩაიგდებენ, მით უმეტეს, რომ მათი ორი თანამებრძოლი უკვალოდ გამქრალა. ამ ეტაპზე საქმეს ჩაფარცხვა ემუქრება, მაგრამ სავარაუდოდ გარკვეული ვადით, როცა დაჭირდებათ, მაშინ დაუდებენ სააკაშვილს ამ კომპრომატსაც „მეგობრები“ და „პატრონები“. ჩვენს ვარაუდს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ „ოქტომბრის სასახლის“ აღების მცდელობა და შენობის დაზიანება, კანადის ელჩმა უკრაინაში, რომან ვიშჩუკმა სააკაშვილის მომხრეების მხრიდან მშვიდობიანი პროტესტის უფლების ბოროტად გამოყენებად შეაფასა. კანადელი ელჩის განცხადებას, მისი ამერიკელი და ბრიტანელი კოლეგებიც დაეთანხმნენ. დიდი ალბათობით, სწორედ ხსენებული ელჩების ამგვარი დამოკიდებულება გახდა სააკაშვილის „დისლოკაციის“ შეცვლის მიზეზი. უკრაინელმა სამართალდამცავებმა „საკვირაო“ შტურმთან დაკავშირებით, უკვე აღძრეს ორი სს-ის საქმე, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ფაქტზე.

ღიმილის მომგვრელია სააკაშვილის განცხადება, რომელიც მან პოროშენკოსთან „დაზავების“ მცდელობამდე გააკეთა, პოროშენკოს გუნდმა ხელში ჩაიგდო უკრაინის ხელისუფლება, ხალხს აშანტაჟებს, ბიზნესმენებს იტაცებს, გარიგებაში შედის პუტინთან და სურს უკრაინელი ხალხი სიღარიბეში აცხოვროსო. მსოფლიო დონის ცრუპენტელას ვითომ დაავიწყდა, თვითონ რა გზით მოვიდა ხელისუფლების სათავეში, როგორ ექცეოდა ხალხს, მით უმეტეს ბიზნესმენებს და რა შეხმატკბილებულად მოქმედებდა პოროშენკოსთან ერთად თავისი ნაცური „შლეიფით“. მოგვიანებით, ურცხვად შეცვალა „ფირფიტა“, პოროშენკოს არაფერს ვერჩი, ზოგადად ვისაუბრე კორუფციაზეო, აი, პოროშენკოსადმი მიწერილი ბარათის ამბავი რომ „გაუბაზრეს“, ისევ „აბობოქრდა“, კორუმპირებულებთან ბრძოლაში უკან დახევას არ ვაპირებო. რაც შეეხება პუტინთან გარიგებას, სააკაშვილს ნამდვილად არ აქვს ვინმესთვის წამოსაძახებელი. კინორეჟისორ გოგა ხაინდრავას განცხადებით, სააკაშვილი, როგორც თავისი ბიძა და ცოლი, ყოველთვის იყვნენ რუსეთის აგენტები, რაც საქართველოში კარგად გამოჩნდა და დღეს უკრაინაშიც ჩანს. მისი ევროპელობა და ფსევდოლიბერალობა დიდი ხანია დასრულდა, მხარდამჭერები რუსეთში ყავს ჟირინოვსკის მეთაურობითო. სააკაშვილის ბიძა, „კაგებეს“ მაღალჩინოსანი თემურ ალასანია 1 დეკემბერს უკრაინაში არ შეუშვეს, რაზეც სააკაშვილმა ერთი ამბავი ატეხა, ბიძაჩემი ნიუიორკში ცხოვრობს, მაღალი დონის დიპლომატია, წლების განმავლობაში გაეროს ქვედანაყოფს ხელმძღვანელობდა, კიევში უბრალოდ ჩემს სანახავად მოდიოდაო. ამ ვერსიის, მარტო უკრაინელ ძალოვნებს კი არა, ქართველებსაც არ სჯერათ, განსაკუთრებით იმ ხალხს, ვინც პოლიტიკაში მეტნაკლებად ჩახედულია. ბიძა-დისშვილის წარსულს ვინც იცნობს, დარწმუნებულია, რომ ალასანია ტყუილად არ გამოჩნდებოდა უკრაინის საზღვრებთან, ალასანია დისშვილისთვის „გურუა“, მაშველი რგოლი, რომელმაც პოლიტიკოსად აქცია. ბატონი ალასანია კი არის დიპლომატი, მაგრამ დიპლომატიური „მოღვაწეობა“ საბჭოთა კავშირის დროს აქვს დაწყებული, ანუ როცა საბჭოთა დიპკორპუსი მთლიანად „კაგებეშნიკებით“ იყო დაკომპლექტებული, ასე რომ, სააკაშვილს ბიძის „კაგებეშნიკური“ კარიერა არ უნდა დაავიწყდეს. სხვათა შორის, ცნობილ მწერალს ნოდარ დუმბაძესაც ჰყავს მოხსენიებული საბჭოთა საკონსულოს თანამშრომელი თემურ ალასანია „ოდისევსის დაბრუნებაში“, რომელშიც მწერალი თავის ამერიკაში მოგზაურობის შესახებ გვიამბობს. ნოდარ დუმბაძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, სააკაშვილი ალბათ მასაც მოუწყობდა რეპრესიას ამ ინფორმაციის „გამჟღავნების“ გამო, ისევე როგორც აწ განსვენებულ ვალერი ჩხეიძეს, რომელმაც „წინდაუხედაობა“ გამოიჩინა და უკრაინიდან ჩამოიტანა ფოტო, სადაც სააკაშვილი სასაზღვრო, ანუ „კაგებეს“ ჯარში ფიცის მიღების დროსაა ასახული. თემურ ალასანია, რუსეთის ქვოტით მოხვედრილა გაეროს სამშვიდობო მისიაში, რითაც ასე იწონებს თავს სააკაშვილი. ცნობისთვის, ალასანია რუსული უშიშროების სამსახურის ნდობით აღჭურვილი პირი რომ არ ყოფილიყო, რუსეთი მას იქ არ გაგზავნიდა სამუშაოდ. ისე, ამ ბატონის რუსული სპეცსამსახურების გენერლობაზეც არაერთხელ უსაუბრიათ კომპეტენტურ ადამიანებს. სწორედ ალასანიას „კაგებეშნიკურ-ფეესბეშნიკური“ კარიერის გამოძახილად მიიჩნევენ კომპეტენტური ადამიანების სააკაშვილის პრეზიდენტის რანგში პირველივე უცხოურ ვოიაჟს. იგი გაპრეზიდენეტებისთანავე მოსკოვს ეწვია ოფიციალური ვიზიტით, თუმცა ოფიციალურის პარალელურად, საიდუმლო შეხვედრებიც გაუმართავთ. ქართულ დელეგაციას თემურ ალასანია ხელმძღვანელობდა და მთელი თვე რუსეთის უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნებთან შეხვედრებს მართავდაო. პეტრე მამრაძე პრესასთან ინტერვიუში აცხადებს, რომ სწორედ ალასანია უბიძგებდა სააკაშვილს საბრძოლო მოქმედებების დაწყებისკენ, ხალხშიც ხმას ავრცელებდა, რომ თითქოს რუსეთთან მოლაპარაკება შედგა და ის აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით პრობლემას არ შეგვიქმნიდა, „მწვანე შუქი“ გვქონდა ანთებული ამერიკისგანაც და უპრობლემოს შეგვეძლო დაგვეკავებინა ხსენებული ტერიტორიები. რა ტრაგედიითაც დამთავრდა, ეს ყველაფერი 2008 წელს, ყველას კარგად მოეხსება. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ალასანია რუსული „ფეესბე“-ს შეგნებული აგენტია, ხოლო სააკაშვილს იყენებს, როგორც გავლენის აგენტს. ასეთ ხალხს სპეცსამსახურები „სასარგებლო იდიოტებს“ ეძახიან, რომლებიც ვერც კი ხვდებიან, რომ სპეცსამსახურების დავალებას ასრულებენო. სასაზღვრო ჯარშიც ალასანიას დახმარებით მოხვდა სააკაშვილი, იქ მოწყობის საშუალება მხოლოდ „კაგებეს“ მოქმედ და ყოფილ თანამშრომლებს ჰქონდათ. ასე რომ, ბიძა დიდი ხნის წინ ამზადებდა სააკაშვილს რუსული სპეცსამსახურების მიერ „ნაკურთხი“ პოლიტიკური ასპარეზისთვის.

ბოლო ხანს, რუსულ მედიაში ძალზე საინტერესო და საგულისხმო ინფორმაცია გავრცელდა, რომლის თანახმადაც, უკრაინაში უკვე დაასახელეს ხუთი ოლქი, რომლებიც შესაძლოა რუსეთისკენ წავიდნენ. კიევში დარწმუნებული ყოფილან, რომ იმ შემთხვევაში, თუკი უკრაინა დონბასის დაკარგვას შეეგუება, ხერსონის, ნიკოლაევის, ოდესის, ხარკოვის და კარპატების ოლქი დამოუკიდებელ კიევს ჩამოსცილდნენ და რუსეთს შეუერთდნენ. უკრაინის მთავრობის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის გიორგი ტუკას აზრით, დონბასის დაკარგვა აბსოლუტურად მიუღებელი და საფრთხის მატარებელია ქვეყნისთვის. არსებობს ცნება — ძალის ვექტორი და ახლა რუსეთს ეს ვექტორი დონბასისკენ აქვს მიმართული, არავის ეგონოს, რომ თუ ამ ტერიტორიაზე დაძაბულობა შენელდება, ამით ყველაფერი დამთავრდება. ეს ვექტორი შემდეგ უკრაინის სხვა ტერიტორიებისკენ იქნება გადატანილიო. ტუკას ამ განცხადებამ ძალზე გააღიზიანა რუსული მხარე, კერძოდ, პოლიტოლოგი ალექსანდრე ასაფოვი, კიეველ პოლიტიკოსებს არ სცხვენიათ ფეიკების შტამპვა, მუდმივად ეძებენ ბნელ ოთახში შავ კატას, როცა ის იქ არ არის. ტუკას უკვე ნათქვამი აქვს, რომ მთელი უკრაინა რუსი ჯაშუშებითა და აგენტებითაა გაძეძგილი, მათ შორის, ხელისუფლების მაღალი ეშელონები, ახლა ძალის ვექტორზე საუბრობს. მის განცხადებებს სერიოზულად ვერ მიიღებ, თუ კარგად გავაანალიზებთ, ერთ დასკვნას გამოვიტანთ, რომ კიევში სრულ ჭკუაზე ვერ არიან. კიევში ახლა „ცხელი“ პოლიტსეზონია, უახლოეს მომავალში აუცილებლად მოხდება ცვლილებები, ამიტომ ყველა პოლიტიკოსი ცდილობს თავის შეხსენებას, ხოლო მითები მოსკოვურ აგრესიაზე, საუკეთესო საშუალებაა „დამოუკიდებელ“ ქვეყანაში ქულების ჩასაწერადო. პოლიტოლოგთა ნაწილის აზრით, თვითონ უკრაინაც ცდილობს, რომ რეგიონები კიევს მაშველ რგოლად

არ აღიქვამდნენ. უკრაინელი პოლიტიკური მიმომხილველის ალექსანდრე ჩალენკოს განცხადებით, ნოვოროსიას (აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონები) ყოველთვის რუსულ მიწად მიიჩნევდნენ. წავიდა ყირიმი, დონბასს გამოყოფა უნდა, ვის აძიმებს ხერსონი თუ ოდესა, კიევი რომ რუსული ქალაქების დედაა და ეს არავის დაავიწყდეს? რა თქმა უნდა რუსეთი ამ მიწების წართმევას დაიწყებს, ხსენებული რეგიონები თვითონ შებრუნდებიან „აღმოსავლეთისკენო“. ამ განცხადებების შემდეგ, გულუბრყვილო ადამიანების გარდა, ალბათ არავის შეეპარება ეჭვი, რომ „ევრომაიდანი“ და „მიხომაიდანი“ რეალურად უკრაინის მარტივ მამრავლებად დაშლას ემსახურება.

რაც შეეხება მოვლენების მთავარი „გმირის“ საკაშვილის დაჭერა-არდაჭერას და საქართველოსთვის გადაცემა-არგადაცემას. რუსული მედია და პოლიტოლოგები ეხმაურებიან „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გომელაურისა და უკრაინული მხარის წარმომადგენლების საიდუმლო შეხვედრის შესახებ, რომელიც ნაციონალების რუპორის ინფორმაციით მინსკში შედგა. ამ შეხვედრაზე საკაშვილის საქართველოსთვის გადაცემის საკითხი განიხილესო.

რუს ექსპერტებს ნინო ბურჯანაძემაც აუწყა „სატოპკე“ თავისი განცხადებით, ქართულ მხარეს განზრახული აქვს საკაშვილს საშუალება მისცეს თავი აარიდოს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რადგან სხვა შემთხვევაში ეს საქმე უცხოური მედიასაშუალებების ყურადღებას მიიპყრობს და ძალიან ბევრი არასასურველი სიმართლე ამოტივტივდება, მათ შორის, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვისაცო. პოლიტოლოგი ედუარდ პოპოვი ეთანხმება ნინო ბურჯანაძეს მოსაზრებას, რომ ქართული მხარე არ არის დაინტერესებული საკაშვილის საქართველოსთვის გადაცემით. თუ „რუსთავი-2“ სიმართლეს ამბობს, მაშინ მინსკის შეხვედრა თავისებური თამაშია, რომელიც პირველ რიგში პოროშენკოსთვის არის მომგებიანი, რომელიც ერთი მხრივ საკაშვილზე ახდენს ფსიქოლოგიურ ქმედებას, მეორე მხრივ კი ამერიკას მიანიშნებს მის დანაშაულობებზე უცხო ქვეყნებში. კიევის შანსები, საკაშვილის საქართველოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით, მინიმალურია, რადგან საკაშვილის მხარდასაჭერად უკვე ღიად გამოვიდნენ სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი კურტ უოლკერი და წამყვანი დასავლური ქვეყნების ცნობილი პოლიტიკოსები. მათ თვალში საკაშვილი კორუფციასთან მებრძოლია და არა პოროშენკოს პირადი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, ან სს-ის დამნაშავე და აფერისტი, როგორც მის წარმოდგენას ცდილობს ქართული მხარეო. ალექსანდრე ასაფოვი ადრე აცხადებდა, რომ ვაშინგტონი დაინტერესებული იყო უკრაინაში ყოფილიყო ვინმე შიდა „ცეცხლისწამკიდებელი“, რათა კიევზე ზემოქმედების ბერკეტი შეენარჩუნებინა. დღეს ამ როლს საკაშვილი ასრულებს, და როგორც არ უნდა უნდოდეთ უკრაინასა და საქართველოს ბედის გადაწყვეტა მინსკში, ამერიკის გარეშე ამას უბრალოდ ვერ შეძლებენო. ასაფოვის აზრით, „მიხო- მაიდანი“ და პოროშენკოს დასუსტება, საკაშვილის გამარჯვებით დასრულდება. უკრაინის პრეზიდენტი უკანასკნელ თვეებს ითვლის, თუმცა საკაშვილს არ ყოფნის მხარდაჭერა, ეს უკანასკნელმა „იმპიჩმენტის მარშმაც“ აჩვენა, როცა საკაშვილი დააკავეს. ასაფოვის განცხადებით, პროცესი ჯერ მხოლოდ მედიის ფარგლებში მიდის და საეჭვოა, წლის ბოლომდე ძალთა განლაგება შეიცვალოსო. რა შედეგი მოყვება უკრაინის ხელისუფლების მცდელობას, საკაშვილი რუსეთიდან ფულის მიღებაში დაედანაშაულებინათ, რომ ვაშინგტონის თვალში იგი კრემლის პროექტად წარმოედგინათ, მომავალი გვიჩვენებს. რუსული მედიის ინფორმაციით, ამერიკა უკვე ამზადებს პოროშენკოს „მემკვიდრეს“, რომელიც წინამორბედივით ვაშინგტონის კონტროლქვეშ მყოფი პერსონა იქნება, ანუ „უკრაინელი მაკრონი“. თურმე ორი კანდიდატურა განიხილება, ექსპერტთა განცხადებით, ვაშინგტონის კანდიდატს უკრაინელი ხალხის სრული მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეს დღევანდელი ანარქიის პირობებში. ჩვენ უკვე ვწერდით იმ სატელევიზიო გამოკითხვის შესახებ, რომელშიც 47.000-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, საიდანაც 92%-მა ვიქტორ იანუკოვიჩის ხელისუფლების დაბრუნება ისურვა. ინტერნეტსივრცეში ვრცელდება მიმართვები, ვიტია დაბრუნდი, ვიტია გვაპატიე, ჩვენ „ვიმაიდნეთ“ და გზიდან ავცდით. ექსპრეზიდენტ იანუკოვიჩის ადვოკატი აცხადებს, რომ პოროშენკოს მარიონეტულმა რეჟიმმა სახელმწიფო იმაზე ჩქარა დაშალა, ვიდრე მის ოკეანისგაღმელ კურატორებს სურდათ. ისინი თავიანთ ყველაზე თამამ ფანტაზიაშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, თუ მათი სურვილი ასე სწრაფად ასრულდებოდა, ვფიქრობ, აღფრთოვანებული და კმაყოფილნი არიან იმ ხალხით, ვისაც უკრაინის გაჩანაგებაში ლომის წილი მიუძღვით. უკრაინულ სოცქსელებში ასეთი მოსაზრება გამოითქვა, ხსენებულმა ტელევიზიამ გამოკითხვა რომ ჩაატაროს, უნდა თუ უკრაინის პირველ პირად პუტინი იხილონ, უკრაინელების პასუხი იმ 92%-ზე უფრო მეტად გააკვირვებთო.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

უვარგისი კაცი ქართული ციხისთვისაც უვარგისია და უკრაინულისთვისაც

გასულ კვირას „საერთო გაზეთში“ დაბეჭდილი წერილი „ციხისთვის უვარგისი კაცი“ მიშას მომხრეებისთვის ისეთი გამაღიზიანებელი აღმოჩნდა, როგორც კორიდის ხარისთვის წითელი ნაჭერი. მესმის, ძნელია სიმართლის მოსმენა, ჰოდა, „საერთო გაზეთის“ ფეისბუკ-გვერდზე ბღავილი და ვაი- უშველებელია ატეხილი, ხოლო რედაქციის ტელეფონებზე ზარები არ წყდება – რას კადრულობთ, თქვე ასეთებო და ისეთებო, მიშა ციხისთვის უვარგისი და ფსიქიური ავადმყოფია? ვერ მოგართვით! – ისმის კომენტარებიდან და სატელეფონო საუბრებიდან.

ლექსიკა ერთი და იგივეა, რასაც უკრაინის „მხსნელი“ გაიძახის, იგივეს ლაპარაკობს მიშას მრევლიც.

მიშა რომ მეტ-ნაკლებად უჟუილებს, ჩვენც გითხარით და ფსიქიატრებმაც აღნიშნეს არაერთხელ, რომ ავადმყოფია და ამ ავადმყოფ ადამიანს რომ აქეზებთ და ახალისებთ ახალ-ახალი სისულელეების ჩასადენად, არ გრცხვენიათ?

მიხეილ საკაშვილი წარსულია, ბატონებო, დაიჯერეთ ეს, გამოფხიზლდით და მომავალს შეხედეთ თვალებში!

არა და არ უნდა ამის გაგონება ჩვენი საზოგადოების ნაწილს და ადრე რომ წერდნენ სოციალურ ქსელში – მიჰა ჰამოდიო (**Miha Hamodi**), ახლა ჩვენს ფეისბუკ-გვერდზე გაჰყვირიან – მიწა მაგარია (**Miwa magaria**). ამ საცოდავს მისი გაჭირვებაც ჰყოფნის, მიწისთვის ნუღა იმეტებთ!

თავებს რომ ურტყამთ კლავიატურას და ფეისბუქიდან „საერთო გაზეთის“ ჯოჯოხეთის უფსკრულში ისტუმრებთ, ახლა მოგახსენებთ, რატომ არის თქვენი წარმოსახვითი ბელადი ავადმყოფი და როდიდან ეტყობოდა კლინიკური ნიშნები.

საკაშვილის პოლიტიკური კარიერის გარიჟრაჟის პერიოდის პოლიტიკოსები, მისი ყოფილი თანამებრძოლები აცხადებენ, რომ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საკაშვილი პრეზიდენტი გახდებოდა, ამერიკის სპეცსამსახურებმა დადეს დასკვნა, რომ საკაშვილი ბიპოლარული აშლილობით არის დაავადებული.

ბიპოლარულ აშლილობას, ცნობილი ფსიქიატრი რიჩარდ გერიგი გუნება-განწყობის აშლილობით, დეპრესიისა და მანიის პერიოდების მონაცვლეობით ახასიათებს.

ციტატა: „ბიპოლარული და მასთან დაკავშირებული აშლილობები დეპრესიული აშლილობების, შიზოფრენიის სპექტრისა და სხვა ფსიქოტური აშლილობის შესახებ თავებს შორის არის წარმოდგენილი, როგორც ერთგვარი ხიდი ორ დიაგნოსტიკურ კლასს შორის სიმპტომებს, ოჯახური ისტორიისა და გენეტიკის თვალსაზრისი თ.

ბიპოლარული აშლილობის ძირითადი განმსაზღვრელი კლინიკური მახასიათებელი კლინიკური დეპრესიისა და მანიაკალური ეპოზოდების მონაცვლეობაა, რადგან ადამიანი აღმაფრენისა და აღტაცების მწვერვალებიდან უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ეშვება“.

რიჩარდ გერიგი, ფილიპ ზიმბარდო „ფსიქოლოგია და ცხოვრება“.

აი, მაგალითებიც:

მისი გაპრეზიდენტებისთანავე მიხეილ საკაშვილი ახალ წელს რომ ულოცავს მოსახლეობას – ნაძვისხესთან დგას ბეწვისქუდიანი ქურთუკით, ცხვირს ხელით იხოცავს და ღლდ-ააა, იცინის. მერე ამბობს: მოაცალეთ ჩემს ქურთუკს ბეწვი და ალანას (ალანა გაგლოევა – საკაშვილის პიარსამსახურის თანამშრომელი – ი.კ.) მიამაგრეთ უკან, კარგი კუდი გამოუვაო, ამბობს, თან ცმუკავს და ისევ ღ-ღ-ღააა-ს იძახის…

მაშინ, საკაშვილი 36 წლის იყო და არა ექვსის. უკვე პრეზიდენტის პოსტზე მყოფი კაცისგან ასეთი საქციელი ნორმალურად თუ მიგაჩნიათ, მისი მომხრეებიც მასავით უჭკუჭკობთ.

კრიტიკულ მომენტში ზრდასრულმა მამაკაცმა ნაჭრის ღეჭვა რომ დაიწყოს, როგორც საკაშვილი იტენიდა პირში ჰალსტუხს 2008 წლის აგვისტოს იმ საბედისწერო დღეს, ესეც ნორმალურია, ალბათ, თქვენი აზრით.

ეს ადამიანი არის არანორმალურად მშიშარა, რაც, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ფსიქიკურ პათოლოგიებს ჩვეულებრივად ახლავს. ბომბებს მიმიზნებდნენ გორში და დაცვა გადამეფარაო, თქვა ამასწინათ. ბომბის დამიზნება რად უნდა, სპექტაკლების მომწყობი იმ მასხარასთვის, რომელმაც სისხლის მდინარეები დააყენა საქართველოში, ქვეყანაში, სადაც დაიბადა და გაიზარდა.

ერთ ჯერზე 5 კგ კაიმაღის მთქვლეფავი მთავრობის სხდომებს გამოქვაბულებში და სახლების სახურავებზე ატარებდა.

არა, აშკარად ილტვის ზეცისკენ, ანგელოზობა უნდა…

ცხადია, ყველა კრიტერიუმით და ლოგიკით, საკაშვილის ბოლო სავალალო იქნება, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ, უვარგისი ელემენტივით ბოღმით და ღვარძლით რომ დაგმუხტათ ამ ჭკუიდან გადამდგარმა ფსიქოტროპული პრეპარატებით დასიებულმა საკაშვილმა?

„ციხისთვის უვარგისი კაცის“ წაკითხვის შემდეგ, როგორც წესი, მიშისტებს კვლავ ბიძინა ივანიშვილი გაახსენდათ, თითქოს ის იყოს მიშას გამგიჟებელი. ყველამ იცის, საკაშვილი მანამდეც ვერ იყო კარგად, სანამ ივანიშვილი გამოჩნდებოდა, მარტო ვერ იძინებდა თურმე, მერაბიშვილი და დაცვის წევრები გაწამებული ჰყავდა, საწოლთან ღამეს უთევენო და რაღა ბიძინა ივანიშვილს ეტაკებიან ხოლმე, მაგრამ გიჟებმა ამოჩემება იციან და მიშასაც ივანიშვილი ჰყავს ამოჩემებული.

მოკლედ რომ ვთქვა, გურიაში მოშასხაირი ქცევის კაცს ადალას ეძახიან. ამ სიტყვის ეტიმოლოგიისა და სრული განმარტებისთვის დიდი დრო დამჭირდება, ამიტომ, ამჯერად, თავს არ შევაწყენთ, უბრალოდ, ჰკითხეთ თქვენს გურულ ნაცნობ-მეგობრებს – რას ნიშნავს ადალა-თქო და მიხვდებით საკაშვილის მდგომარეობა რომ უიმედოა, ხოლო მისი ე.წ. მრევლი, იგივე მიშას სექტანტები, აგრესიული მიშიზმით შეპყრობილები მესიას ელოდებით, მაგრამ, დამიჯერეთ, ის აღარ მოვა!..

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18



იგორ ბერკუტი უკრაინაში ახალი „ზეციური იერუსალიმის“ აშენებას გეგმავს

სააკაშვილს კონკურენტი გამოუჩნდა

რამოდენიმე დღის წინ ოდესელმა ჩემმა კოლეგამ მირჩია სოციალურ ქსელში მენახა იგორ ბერკუტის „ვნებანი“. ნანახმა და მოსმენილმა გამაოგნა.

„ველიკაია უკრაინას“ ლიდერს იგორ ბერკუტს ფრიად საინტერესო და ბურუსით მოცული წარსული აქვს. დაიბადა 1964 წელს დონეცკის ჩრდილოეთით ლუგანსკის მხარეში. სადაც გაატარა ბავშვობა. დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდგომ დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი.. 1986-87 წლებში მსახურობდა სადესანტო ბატალიონში 1988 წელს მსახურობდა ავღანეთში სსრ კავშირის დაშლის შემდგომ 1991 წელს 27 წლის ასაკში გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. 1993 წელს მიიღო, ყოფილი სამხედრო კადრებისთვის განკუთვნილი გრანტი და სწავლა გააგრძელა ჯერ მოსკოვში და შემდეგ აშშ-ში. 1993 წელს იგორ გეკკო იგივე ბერკუტი ამერიკელ პარტნიორ გრეგორ ნოულომ სტიუდერომთან ერთად ყაზახეთში აფუძნებს „ტეხაკაბანკ“-ს. მოგვიანებით აღნიშნული ბანკი მიყიდეს რუსულ „სბერბანკ“-ს. შემდეგ მოსკოვში შეიძინა „მეტროკომბანკი“ რომელსაც ამჟამად მისი ძმა ვალერი გეკკო მართავს. უკრაინულ პოლიტიკურ სივრცეში იგორ გეკკო იგივე ბერკუტი 2001 წელს რადას არჩევნებამდე ჩრდილოეთ დონეცკში გამოჩნდა, მოღვაწეობა ადგილობრივი გაზეთის რედაქტორობით დაიწყო და რადას არჩევნებშიც გაიმარჯვა ორატორული ნიჭის, დიდი ფულის და რაც მთავარია კარგი „უხილავი პატრონის“წყალობით... მის „გადეპუტატებას“მრავალი მითქმა მოთქმა და სკანდალი მოჰყვა, მათ შორის ის, რომ ყაზახეთის მოქალაქე გახლდათ და უმაღლესი რადას არჩევნებში გაიმარჯვა. თუმცა სკანდალს და უამრავ გაჩენილ კითხვას, პასუხი და შედეგი არ მოყოლია. ბევრი, რომ არ გავაგრძელოთ ბერკუტი დღეს აღმასრულებელი დირექტორია იმ მეგა პროექტის რომელიც უკრაინის ხუთ ოლქში „ახალი, ზეციური იერუსალიმის“შექმნას გეგმავს. ეს „ეპოქალური მოვლენა“ მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო და რატომღაც მსოფლიო მედიის ყურადღების მიღმა დარჩა. ოდესის პორტში იზრაელიდან „ახალმოსახლეების“ პირველი ჯგუფის ჩამოსახლება-დასახლებას იგორ ბერკუტი ხელმძღვანელობდა. ჯგუფი 183 ებრეელისგან შედგებოდა მათი მიზანი სამხრეთ უკრაინის ტერიტორიაზე „ზეციური იერუსალიმის“საძირკველის ჩაყრა გახლდათ. ბერკუტი ტვ-„რასსვეტ“-ზე სიამაყით, ორატორული ხელოვნების უნიჭო გამოყენებით ყვება- 28.01.2017 – წითელი მამლის წელს მსოფლიო ახალი წესრიგი საკონტროლო გასროლით შეხვდა. ანუ, ზეციური იერუსალიმის „მშენებლების პიონერები“ოდესაში დასახლდნენ. მაგრამ, მანამდე როგორ მოდიოდნენ გემით, როგორ მღეროდნენ, როგორ დახვდათ მათ ოდესის მიწა და უღრუბლო, უჩვეულო ცა, პორტის ხელმძღვანელობა, უამრავი ადამიანი. „გასხივოსნებული“ სახით ყვება. ბერკუტის თქმით მათ ხაიფიდან ჩამოიტანეს შაფარიც (საკულტო მუსიკალური ინსტრუმენტი) ასევე მათ ჩამოიყვანეს ორი ხელოსანი რომელიც შაფარს ამზადებენ, მისი დამზადება კი ეზოთერული წესების მკაცრი დაცვით ხდება. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში უამრავი ებრაელი ცხოვრობს ბერკუტის თქმით შაფარის ხელოსანი არ ყავდათ. არც აღნიშნულ ინსტრუმენტზე შემსრულებლები მოკლედ, შაფარის ბიზნესი მოაგვარა. შაფარზე „დამკვრელების“ სკოლის გახსნაც დააანონსა. ტელემაყურებლებს ისიც აუხსნა, რომ 2025 წელს როდესაც „ზეციური იერუსალიმის“შენება დამთავრდება და ოდესაში ერთ შაფარს ჩაბერავენ დნეპროპეტროვსკის შაფარი ბანს მიცემსო... კითხვაზე ვინ აფინანსებს ამ პროექტს იგორ ბერკუტი პასუხობს-ათასხუთასი მილიარდელია მსოფლიოში, მათი დიდი უმრავლესობა ებრეელები არიან. მათ ინტერესშიც შედის „ზეციური იერუსალიმის“აშენება. ბერკუტის თქმით იგი იზრაელში პერიოდულად კითხულობდა ლექციებს და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ათიათასობით კურსდამთავრებულ ახალგაზრდა ებრეელს დღეს, პერსპექტივა არა აქვს, რომ განვითარდეს ამიტომ საჭიროა „სივრცე“რომელიც მას უკრაინაში ეგულება. ბერკუტი „პროექტის“ აქტუალიზაციისთვის იშველიებს ახალ აღქმას, კაბალას, (რომელიც არცთუ ცუდად ესმის) ზეციურ ნიშნებს, წინასწარმეტყველელებს, იმოწმებს ჰენრი კისინჯერს და პალესტინელ წინასწარმეტყველ შეიხ იასინ-ს, რომ 2022-2025 წლებში დღევანდელ ისრაელის ტერიტორიაზე შეუძლებელი გახდება ცხოვრება, ბუნებრივი ანომალიების, კლიმატის, ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების

მოსკოვში შეიძინა „მეტროკომბანკი“ რომელსაც ამჟამად მისი ძმა ვალერი გეკკო მართავს. უკრაინულ პოლიტიკურ სივრცეში იგორ გეკკო იგივე ბერკუტი 2001 წელს რადას არჩევნებამდე ჩრდილოეთ დონეცკში გამოჩნდა, მოღვაწეობა ადგილობრივი გაზეთის რედაქტორობით დაიწყო და რადას არჩევნებშიც გაიმარჯვა ორატორული ნიჭის, დიდი ფულის და რაც მთავარია კარგი „უხილავი პატრონის“წყალობით... მის „გადეპუტატებას“მრავალი მითქმა მოთქმა და სკანდალი მოჰყვა, მათ შორის ის, რომ ყაზახეთის მოქალაქე გახლდათ და უმაღლესი რადას არჩევნებში გაიმარჯვა. თუმცა სკანდალს და უამრავ გაჩენილ კითხვას, პასუხი და შედეგი არ

ერთიანდება, (ლიდერები დასახელებულია) ბერკუტი სინანულის გარეშე აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილი ოლქები მილიონამდე უკრაინელმა უკვე დატოვა და ემიგრაციაში წავიდა მძიმე, გაუსაძლისი პირობების გამო, იმედი აქვს, რომ კიდევ ასიათასობით უკრაინელი დატოვებს სამშობლოს. შემდეგ დნეპროპეტროვსკი ახალი იერუსალიმის პოლიტიკური დედაქალაქი გახდება ხოლო ოდესა-კულტურის. ბერკუტის მიერ ჩამოთვლილი უკრაინის ხუთ ოლქში მისი თქმით ამინდს დიდიხანია ებრაელები ქმნიან, იგი ასახელებს ებრაელ მილიარდელებს რომლებიც ნამდვილად არსებობენ თუმცა ის ფაქტი, რომ ჩამოთვლილ ოლქებში ებრაელები უმრავლესობას წარმოადგენენ სიმართლეს არ შეეფერება. მაგალითად დნეპროპეტროვსკის ოლქში 2004 წლის აღწერით მოსახლეობა შეადგენს 3,493,062 მოსახლე სადაც შემდეგი ეთნიკური ჯგუფის ხალხი ცხოვროვრობს უკრაინელები – 79.3%, რუსები – 17.6%. ებრაელები – 0.4%. სომხები – 0.3% მოლდაველები – 0.12 იგივე სიტუაციაა სხვა ოლქებშიც... ასევე სიმართლეს არ შეეფერება ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ოლქს ოდესმე „ღვთის რჩეული ერი“ მართავდა. მაგალითად, 1792 წლამდე ოდესა სოფელს წარმოადგენდა და ჰაჯიბეი ერქვა. ოდესის თავდაპირველი სახელის სხვა ვარიანტებიცაა ცნობილი: კაჩიბეი, აჯიბეი, კოცუბეევი, კაჩუკლენოვი. ქალაქს ოდესა ეწოდა იმის გამო, რომ შეცდომით მიაჩნდათ, თითქოს ჰაჯიბეის ადგილზე ძველბერძნული კოლონია ოდესოსი არსებობდა. სინამდვილეში ოდესოსი სხვა ადგილას მდებარეობდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეგა პროექტის ავტორებს ახალი იერუსალიმის დასაფუძნებლად უკრაინის ხუთი საუკეთესო ოლქი შეურჩევიათ, როგორც ადგილმდებარეობით, კლიმატით, ინფრასტუქტურით, პორტების სიუხვით. მაგალითად, რუსეთის იმპერიაში ნიკოლაევი იყო პირველი ადგილი შავ ზღვაზე, სადაც ჩაეყარა გემთმშენებლობას საფუძველი. ნიკოლაევში მდებარეობდა უდიდესი და უძლიერესი საიდუმლო სტრატეგიული საწარმოები.

ბერკუტის თქმით ოცი წელია საუბრობენ (ვინ საუბრობს არ აკონკრეტებს), რომ უკრაინის მოსახლეობა უნდა დარჩეს ათი მილიონი არადა 2001 წლის აღწერით ორმოცდარვა მილიონნახევრამდე გახლდათ, ხოლო 2016 წლის მონაცემებით ორმოცდაორ მილიონნახევარი. რას უპირებენ უკრაინის მოსახლეობას „შესამცირებლად“ უცნობია. იგი ასევე აკონკრეტებს, რომ „ზეციურ იერუსალიმში“ შემორჩენილ უკრაინელებს ექნებათ იმის საშუალება, რომ იმუშაონ, მხოლოდ მათ უნდა გაიარონ კურსები „ანტისემიტური“ პრობლემის გონებიდან ამოსაშლელად. კურსების წარმატებით გავლის შემდგომ მათ მიეცემათ სერტიფიკატი და შეძლებენ მუშაობას სპეციალობით. რაც შეეხება კითხვას ახალი იერუსალიმი „ნეომონათმფლობელურ სახელმწიფოს“ხომ არ დაემსგავსება სადაც მონები რასაკვირველია უკრაინელები იქნებიან, ბერკუტმა ხელები გაასავსავა, რომ აღნიშნული ფაქტი არასდროს მოხდება, თუმცა არცერთი ებრაელი ბავშვის ან მისი მშობლის ცრემლი არ უნდა დაიღვაროს. ბერკუტის თქმით ოცდახუთი წელია უკრაინელები ოცნებობენ ხუთასი ევროს რაოდენობის პენსიაზე და ახალი პროექტის განხორციელების შემდეგ არაებრაელ პენსიონერს აღნიშნული თანხა დაერიცხება. პროექტის ავტორი აშკარად იყენებს შთაგონების ტექნოლოგიებს, მიუხედავად იმისა, რომ რუსული უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულია, ავღანეთის ომგამოვლილი და ცოტახანი როგორც თვითონ ამბობს სამხედრო დაზვერვაშიც მუშაობდა, აშკარად ეტყობა, რომ რუსული სპეცგადამზადება არ აქვს გავლილი. აი, ამერიკული კი შთაგონების და დარწმუნების საქმეში აშკარად ვერ „უქაჩავს“. ამიტომაც „იუთუბიზე“ დადებულ მის მიმართვებს ლანძღვა-გინების კომენტარები უხვად ახლავს. თუმცა ყავს მცირე რაოდენობის მხარდამჭერებიც, მოკლედ, თუ მკითხველს დააინტერესებს შეუძლია დაგუგლოს იგორ ბერკუტი და უფრო ვრცლად გაეცნოს „ესოდენ გაბრწინებული“ მეგა პროექტის აღმასრულებელ დირექტორს.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

„ფულის მოძულე“ მიშა და ტელეპიპა ნოდარიკო

გასულ კვირას შაბათის „კურიერში“ „ვოლნი ხაჟდენიაზე“ დროებით გაშვებულმა მიხეილ სააკაშვილმა თავის ტელეპიპას ნოდარიკო მელაძეს უხმო და სახალხოდ და საჯაროდ ერთი დიდი „საიდუმლო“ გაუმხილა: — იცი, რატომ მეძახიან გიჟსა და სულელს? იმიტომ, რომ ფულს არ ვაკეთებ! აგერ ოდესის გუბერნატორი რომ ვიყავი, მილიონების შოვნა შემეძლო, მაგრამ არ მიშოვნია. პოროშენკო ყოველმხრივ უზრუნველ ცხოვრებას მთავაზობდა, პარლამენტში შეყვანას და დიდ ფულს მპირდებოდა, მაგრამ არც ამაზე წავედი. ორას მილიონზე ვთქვი უარი, ორას მილიონზე. აი, ამიტომ მეძახიან გიჟს, — დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო ის „საიდუმლო“, რომელიც ფულის „მოძულე“ მიშამ თავის ტელეპიპას გაანდო.

უკრაინაში თუ მართლაც ამის გამო ეძახიან უსამშობლო და უპასპორტო სააკაშვილს გიჟსა და სულელს, ცდებიან უკრაინელები, ძალიან მწარედ ცდებიან.

ექსპერტების დასკვნით, სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ საქართველოში ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაახლოებით 18 მილიარდი ლარი „გამოიმუშავა“, თუმცა, როგორც ჩანს, ამ კოლოსალურ თანხას მოკრძალებული და თავმდაბალი სააკაშვილი ფულად არ თვლის.

მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს, როგორ დაიწყეს ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან „ნაციონალებმა“ შევარდნაძის ე.წ. „ფულის ტომრებისთვის“ ხარკის შეწერა — ზოგს 5 მილიონი მოატანინეს, ზოგს 10, ზოგს — 30 და ა. შ.

ეს უზარმაზარი თანხები სპეციალურად ამ „ოპერაციისთვის“ შექმნილ ფონდებში აკუმულირდებოდა, რომ მერე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მოხმარებოდა, თუმცა გავიდა მცირე ხანი და ეს ფონდები თავის ფულიანად უკვალოდ გაქრა, ისე, როგორც უკვალოდ აორთქლდა ის 4,5, მილიარდი დოლარი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომში დამარცხებულ საქართველოს დახმარების სახით გამოეყო.

მიშას ტელეპიპა ნოდარიკო ისე უსმენდა ფულის მოძულე, ზეპატიოსანი და ზეწესიერი სააკაშვილის აღსარებას და ისე მიამიტურად აფახულებდა თვალებს, თითქოს ზემოთნახსენები ფაქტების შესახებ არაფერი სმენოდა.

მელამ თავისი კუდი მოიყვანა მოწმედ, სააკაშვილმა — მელაძე…

„რუსთავი-2“ ქვეყნის მთავარი მატყუარა ტელევიზიაა, სადაც ყველა მელაძეა — დაწყებული გენდირქეტორით და დამთავრებული ნებისმიერი ჟურნალისტით, რომელთა მთავარი მიზანი და ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი ნაცარი შეაყარონ თვალებში მოსახლეობას, რომ მგლები კრავებად მოგვეჩვენოს, ბანდიტები და ყაჩაღები, მკვლელები და ჯალათები მუდამ სიკეთის კეთებისთვის მზადმყოფ ჰუმანოიდებად, ხოლო მიშა (როგორც ამბობენ, ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი საქართველოში) — უპოვარ ყარიბად, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე, უფასოდ და უჰონორაროდ „ათავისუფლებს“ ქვეყნებს და ხალხებს სისხლისმსმელი კორუფციონერებისგან.

მაგ სიმართლით იარეთ თქვენ, რუსთავიორელებო, მაგ სიმართლით იარეთ და სადაც მიხვალთ, იმასაც ვნახავთ.

ერთი დეტალი გამომრჩა და უნდა ვთქვა: საქართველოს პროკურატურის არქივებში, ალბათ, დასტებად აწყვია ტომეულები, სადაც ზემოთნახსენები „ფულის ტომრების“ ბერტყვის გამაოგნებელი ისტორიებია ასახული.

საქმე ის არის, რომ, ზოგ შემთხვევაში, „შემოწირულობას“ ახორციელებდა არა დასაბერტყად განწირული „ფულის ტომარა“, არამედ მისი ადვოკატი.

ერთი ადვოკატი ჰყვებოდა, ვიღაც-ვიღაცების ნაცვლად მილიონები მაქვს შეტანილი. ვინმემ რომ ნახოს ეს დოკუმენტები და რომ მკითხოს, საიდან მოიტანე ეს მილიონები, რომლებიც თურმე ნებაყოფლობით შემიწირია რაღაც ფონდისთვის, არ ვიცი, რა ვუპასუხო?

მხოლოდ ერთი ადვოკატი კი არ აიძულეს, მსგავსი აფიორა ჩაედინა, ადვოკატთა მთელი ჯგუფი იყო ჩართული „ნაციონალების“ და მათი ბანდის მიერ მოფიქრებულ ამ ცინიკურ სქემაში.

ჰოდა, ახლა მაინც ამოიღეთ ხმა და გათავისუფლდით ამ ტვირთისგან, ძვირფასო ადვოკატებო, თორემ, ხომ ხედავთ, მაგ ცოდვის და ბოროტების საცავის გახსნას, ჯერჯერობით, არავინ ცდილობს, ამასობაში კი მთელი ამ დანაშაულებრივი სისტემის ავტორი და შემოქმედი თავზე წამებულის ეკლის გვირგვინის მორგებას აპირებს და მოირგებს კიდევაც, თუ სიმართლეს არავინ იტყვის…

რა პრობლემებს შეუქმნის მძღოლებს ავტომანქანების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება?

2018 წლის იანვრიდან საქართველოს მთავრობა მილიონზე მეტი ავტომფლობელისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შემოღებას გეგმავს, რასაც ქართულ მხარეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს. წინასწარი გათვლებით, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმაში დაახლოებით 30 მლნ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ავტომობილების სავალდებული ტექდათვალიერება შეამცირებს როგორც ჰაერის დაბინძურების მასშტაბებს, ასევე ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობას. საწყის ეტაპზე რეგულაციები შეეხება 8 ადგილზე მეტის მქონე სამგზავრო ავტომობილებს და სატვირთოებს (3,5 ტონაზე მეტი). შემდგომ ეტაპზე ინსპექტირებას სახელმწიფო უწყებისა და იურიდიული პირების მფლობელობაში მყოფი და 3.0 ან მეტი ძრავის მქონე ავტომობილები გაივლიან.საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ტექდათვალიერება არ შეეხება 4 წლამდე ასაკის ავტომობილებს. 8 წლამდე ასაკისას 2 წელიწადში ერთხელ, ხოლო 8 წლის ზემოთ — ყოველწლიურად. ინსპექტირების შემდეგ იკრძალება საჭის გადატანა, თუმცა უკვე გადატანილ საჭიან და მარჯვენა საჭიან ავტომობილებს დამატებითი რეგულაციები არ შეეხება. ავტომობილების შემოწმება შვიდი მიმართულებით მოხდება: სამუხრუჭე სისტემა, საჭის სისტემა, სილვადობა, ფარები, ღერძულა სისტემა, შასი და გამონაბოლქვი. გეგმის მიხედვით, 2019 წლის ბოლომდე მთელი ავტოპარკი უნდა გადამოწმდეს. პროცესის მოსალოდნელ პრობლემებსა და შესაძლო შედეგებზე მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ კაჭკაჭური გვესაუბრა:

— მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა გარკვეული სახის ინფორმაციას ავრცელებს, მოსახლეობა ტექდათვალიერების პროცესს მოუმზადებელი ხვდება. მძღოლები დაბნეულები არიან. ზოგი ამბობს, რომ შემოწმება ძრავის სიმძლავრის მიხედვით დაიწყება, ზოგი ამბობს, რომ ნომრების მიხედვით შეამოწმებენ და ზუსტად არავინ არაფერი იცის. ჩემი აზრით, მთავრობა ეცდება ტექდათვალიერებაზე 15 წლისა და მეტი ხნოვანების ტაქსები არ გაატაროს და ამით მოხსნას საცობების პრობლემა. შესაძლოა, ამით საცობების პრობლემა ნაწილობრივ მართლაც მოხსნან, მაგრამ ეს ადამიანები ოჯახში პურის ფულს რომ ვერ შეიტანენ, უფრო მწვავე პრობლემა მიიღონ. თავის დროზე, იაპონური, მარჯვენა საჭიანი მანქანების შემოტანა რომ ავკრძალეთ, მაშინვე ვთქვი, რომ ეს აკრძალვა უამრავ პრობლემას შექმნიდა.

— კონკრეტულად, რომელ პრობლემებს გულისხმობთ?

— იაპონური მანქანების უმეტესობა კარგად მოვლილი იყო და 100 000 კილომეტრიც კი არ ჰქონდა გავლილი. ეს მანქანები ტექდათვალიერებას უპრობლემოდ გაივლიდნენ. ის ავკრძალეთ და ახლა ამერიკიდან შემოგვაქვს მარცხენა საჭიანი მანქანები, რომლებსაც 300 000 და 500 000 აქვთ გავლილი და რესურსი ამოწურული აქვთ. ვიცი, რომ არსებობს ხალხი, რომელიც პოლიციისგან მალულად, სპიდომეტრის მაჩვენებლებს ამცირებს, მაგრამ რეალურად, ამ მანქანებს ტექდათვალიერების გავლა გაუჭირდებათ. გამოვიდა, რომ ჩვენ კარგ მანქანებზე უარი ვთქვით და ცუდ მანქანებს ვყიდულობთ და ამის შედეგებს პირველივე ტექდათვალიერებაზე ვნახავთ. გავიგეთ, რომ 2013 წლის შემდეგ გამოსული ავტომობილები ტექდათვალიერებას არ გაივლიან, მაგრამ იქნებ ამ 4 წელიწადში ისე მოვსპე მანქანა, რომ აღარაფერი უვარგა, ტექდათვალიერება რატომ არ უნდა გავიარო? ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ძალიან ცუდ სახეს მიიღებს.

— გავრცელებული ინფორმაციით, გამონაბოლქვზე ზღვარი დაწესდება იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მანქანას კატალიზატორი.

— კატალიზატორი საზღვარგარეთიდან შემოსულ ყველა მანქანას მოჰყვება. თან ეს ნაწილი იშვიათად ფუჭდება.. ავტომობილის ამ ნაწილს აქვს ოქროს შემცველობა, ამიტომ ადრე ხალხი აცლიდა და დაახლოებით, 100 ლარად აბარებდა. გაჭირვებული მძღოლი იმაზე აღარ ფიქრობდა, რომ ის კატალიზატორი უწვავი გაზის ან საწვავის მავნე ნივთიერებებს ანეიტრალებდა და გარემოს დაბინძურებისგან იცავდა. სავარაუდოდ, ამ ხალხს ისევ მოუწევს მანქანებზე კატალიზატორის დაყენება, თუმცა საბჭოთა წარმოების მანქანებთან დაკავშირებით, არ ვიცი რა იქნება. საბჭოურ მანქანებზე კატალიზატორი არასოდეს ყოფილა დამონტაჟებული და როგორც ვიცი, არც დამონტაჟდება. ამიტომ წესით, ამ მანქანებს არც უნდა მოთხოვონ კატალიზატორის დაყენება. საერთოდ, ყველა ამ საკითხზე უნდა მოხდეს მოსახლეობის ინფორმირება, თორემ როგორც ახლა მართვის მოწმობებზე დგას რიგები, ტექდათვალიერებაზეც ასე დადგება. მერე ტექდათვალიერების ურიგოდ ან დაჩქარებულად მიღებისთვის თანხა დაწესდება და წავა

კორუფცია და ფულის კეთება..

— მთავრობამ ყველა რეგიონში ტექდათვალიერების ცენტრების გახსნა დააანონსა და რიგები რატომ უნდა დადგეს?

— საქართველოში მილიონ ნახევრამდე ავტომობილი მოძრაობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითო მანქანის შემოწმებას საშუალოდ, 15–20 წუთი ჭირდება, რამდენი ტექდათვალიერების ობიექტი უნდა გვქონდეს, რომ რიგები არ დადგეს? მერწმუნეთ, არსებული ცენტრები ავტომობილების ნახევარსაც ვერ გაატარებს და დიდი პრობლემები შეიქმნება.

ამასწინათ გამოაცხადეს, 2006 წლამდე აღებული მართვის მოწმობები უნდა შეცვალოთო. იცით, რა ხდება რუსთავში, სადაც მართვის მოწმობები იცვლება? ისეთი რიგებია, რომ დილას წასული მძღოლები საღამომდე უკან ვერ ბრუნდებიან და ბევრი ისე მოდის, რომ მოწმობის გამოცვლას ვერ ახერხებს. იგივე ხდება ქავთარაძის ქუჩაზე საპატრულოსთან. ამ ამბავს რომ ვუყურებ, ერთი კითხვა მიჩნდება — მძღოლებმა უკვე ორჯერ შეცვალა მართვის უფლებები და ახლა მესამედ ცვლიან. ბოლოს და ბოლოს, ისეთი მართვის მოწმობები ვერ უნდა გამოუშვან, რომ ყოველი მთავრობის შეცვლაზე გამოსაცვლელი არ გახდეს? ან მარტო ქაღალდის შეცვლით რა იცვლება? უკეთესი მძღოლები გახდებიან თუ რა? **მოწმობების შეცვლას, აჯობებს იმაზე იფიქრონ, რომ მძღოლების ნახევარმა ავტომობილის მართვა არ იცის.** კომუნისტების დროს, მართვას 6 თვე ასწავლიდნენ. ახლა დაიზეპირებენ რაღაცას, დახაზულ მოედანზე გაივლიან, გამოივლიან და მორჩა. მე არ მინახავს სასწავლო ნიშნიანი მანქანა, რომელიც ქალაქში მოძრაობას ასწავლის და რატომ გვიკვირს, რომ ქუჩებში „საცობები“ და გახშირებული ავტოსაგზაო შემთხვევებია? უვიც მძღოლების პრობლემას სხვაც უამრავი ემატება. რამდენი წელია ვამბობთ, რომ ვეფხისა და მოყმის ძეგლთან საჭიროა ხიდი, რომ დიდუბისკენ მიმავალმა მანქანებმა მცხეთისკენ მიმავლებს ხელი არ შეუშალონ და ამ ადგილზე გამუდმებული საცობები არ იყოს. განა რა დაჯდება ამ ხიდის მშენებლობა რატომ არ ფიქრობენ ამაზე? გზებზე მდგომარეობა მოსაწესრიგებელია. საქართველოს გარდა, არ არსებობს ქვეყანა, სადაც შუქნიშანი, ზებრა გადასასვლელი და ავტობუსის მოსაცდელი ერთად არის განლაგებული და ასეთ სიტუაციაში საცობები გვიკვირს..

— შარტავას ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობის დაწესებას მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. მძღოლები ამბობენ, რომ ამან გაუვალი გზების პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა.

— ჩემი აზრით, შარტავას ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობის დაწესება შეცდომა იყო. მძღოლს პეკინზე მისასვლელად უზარმაზარი წრის გაკეთება უწევს, რაც ისედაც გადატვირთულ მოძრაობასკიდევ ერთულებს. ეს სისულელები ვერაზე ცნობილი სამკუთხედის გაკეთებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. თუ მანამდე მძღოლს დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად ერთი გზის გავლა ჭირდებოდა, ახლა ორი გზის გავლა უწევს, რაც იწვევს კიდეც გაუვალი გზებისა და საცობების პრობლემას.

— საუბრის ბოლოს ისევ ტექდათვალიერებაზე გკითხავთ. გავრცელებული ინფორმაციით, ტექდათვალიერების ღირებულება მსუბუქი ავტომობილებისთვის 48 ლარს არ გადააჭარბებს. ტექდათვალიერება გაუვლელი მანქანებისთვის დაწესებული ჯარიმის ოდენობაც საინტერესოა..

— ჯარიმა 50 ლარი იქნება, თუმცა სად გვყავს იმდენი პატრული, რომ ეს ამოწმოს? პატრულმა კრიმინალებს სდიოს, ოჯახური ძალადობის ფაქტები აღკვეთოს, სკოლებთან იმორიგეოს თუ მანქანები ამოწმოს? ათასჯერ ვთქვი და კიდევგავიმეორებ, სანამ საპატრულო სამსახურს საგზაო პოლიციის მანქანები არ დაემატება, გზებზე წესრიგის დამყარებაზე არ უნდა ვიოცნებოთ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში ავტომობილების სავალდებულო პერიოდული ინსპექტირება 2004 წელს, ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის მოსვლის შემდეგ გაუქმდა. მაშინ ითქვა, რომ ეს კორუფციული სისტემა იყო და რეალურად, ავტომობილებს არავინ ამოწმებდა.

ნელი თორდია
571 35 36 88

მარი ლე პენი: ევროკავშირი საშინელი ორგანიზაციაა, რომელიც საერთოდ უნდა გაუქმდეს!

„ქარიშხლის პროვოცირება“, — ასეთი შეფასება მისცეს პოლიტოლოგებმა დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებას — იერუსალიმში გადაიტანოს აშშ-ის საელჩო. ფაქტობრივად, ტრამპი აღიარებს იერუსალიმს ისრაელის დედაქალაქად. პოლიტოლოგების ნაწილი ტრამპის გადაწყვეტილებას „კრაზანის ბუდეში“ ჯოხის ჩაყოფასთანაც აიგივებს. იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებას პალესტინელების გარდა ევრაზიის თითქმის ყველა ქვეყანა ეწინააღმდეგება. პალესტინის ღაზას სექტორში უკვე მასობრივი გამოსვლებია. ისრაელელ ძალოვნებთან მოხდა რამდენიმე შეტაკება, რასაც ადამიანების მსხვერპლი მოჰყვა. გარდა ამისა, რადიკალურმა დაჯგუფება „ჰამასმა“, რომელიც რამდენიმე წელი მიყუჩებული იყო, კვლავ მოუწოდა მხარდამჭერებს თავიანთი ქვეყნის დაცვისკენ.

პალესტინელების გარდა, ტრამპის გადაწყვეტილებამ მთელი არაბული სამყარო, რბილად რომ ვთავქთ, გააღიზიანა. გასულ კვირას თურქეთში ისლამურ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კავშირის (ორგანიზაციაში 57 ქვეყანაა გაერთიანებული) სამიტი გაიმართა, სადაც სწორედ დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება განიხილეს და გააკრიტიკეს. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ ანკარა ყველა ღონეს იხმარს, რათა გაერომ არ აღიაროს იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად. არაბული სამყაროს წარმომადგენლები უფრო შორს წავიდნენ და აცხადებენ, თუ აშშ არ შეცვლის გადაწყვეტილებას, შესაძლოა, სხვადასხვა სანქციები დაუწესონ. ფაქტობრივად, ტრამპმა მოკავშირეებიც აიმხედრა. მართალია, ტრამპის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარება მისი წინასაარჩევნო დაპირება იყო, მაგრამ დიდი ვერაფერი შეღავათია ქვეყნისთვის. მსგავს დაპირებებს 1967 წლის ხუთდღიანი ომის შემდეგ მოყოლებული, თითქმის ყველა პრეზიდენტობის კანდიდატი იძლეოდა, მაგრამ რეალური ნაბიჯის გადადგმა ვერავინ გაბედა.

პოლიტოლოგების ვარაუდით, შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთში ახალი ფართომასშტაბიანი კონფლიქტი აგორდეს, რომლის მოგვარებაც იოლი ნამდვილად არ იქნება. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ იერუსალიმის დედაქალაქად აღიარებას ევროკავშირის ქვეყნებიც ეწინააღმდეგებიან. 1947 წელს ახლადშექმნილმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ისრაელი აღიარა სახელმწიფოდ, მაგრამ პალესტინის საკითხი იერუსალიმთან ერთად ღიად დატოვა, რომელიც ათწლეულებია, გადაუჭრელია.

ჩრდილოეთ კორეა კვლავ რჩება მსოფლიოს თავის ტკივილად. პრობლემის მოსაგვარებლად აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა ორი კვირის წინ განაცხადა: „მზად ვართ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაველაპარაკოთ ჩრდილოეთ კორეელებს, ვისაუბროთ თუნდაც ამინდზე...“ ქვეყნის პირველი დიპლომატის გამონათქვამს არ დაეთანხმა დონალდ ტრამპი და ჩვეული პირდაპირობით განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეელებთან სალაპარაკო არაფერი აქვთ. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ასეთი რადიკალურად განსხვავებული განცხადებები ტრამპის ადმინისტრაციაში არსებულ უთანხმოებას ადასტურებს.

სწორედ ჩრდილოეთ კორეის საკითხი განიხილებოდა გასულ კვირას გაეროს უშიშროების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე. აღსანიშნავია, რომ ოთხწლიანი პაუზის შემდეგ სხდომაზე მივიდა ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელი და სიტყვითაც გამოვიდა. მისი განცხადებით, ჩრდილოეთ კორეა ქედს არავის წინაშე არ მოიხრის და ბირთვული იარაღისა და რაკეტების გამოცდას კვლავ გააგრძელებს. კორეელის თქმით, შეიარაღება მის ქვეყანას გარეშე აგრესიისგან თავდაცვისთვის სჭირდება და არავისზე თავდასხმას ისინი არ აპირებენ. რუსეთის წარმომადგენლის განცხადებით, არ შეიძლება ჩღდილოეთ კორეელების პროვოცირება, რადგან შედეგები კატასტროფული იქნება. რუსეთს ჩინეთიც უჭერს მხარს. ტილერსონმა, სავარაუდოდ, პრეზიდენტის გავლენით ტონი შეიცვალა. ის არ გამორიცხავს ჩრდილოეთ კორეის შესაჩერებლად აშშ-მა ნებისმიერი საშუალება გამოიყენოს. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ აშშ და სამხრეთ კორეა შეთანხმდნენ და ჩინეთის ზღვაში უკვე დაწყებული ერთობლივი სამხედრო წვრთნები შეაჩერეს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ წვრთნების შეჩერების ინიციატორი სამხრეთ კორეა იყო.

ჩინეთი და რუსეთი ადრეც მოუწოდებდნენ ორივე ქვეყანას, არ ჩაეტარებინათ წვრთნები, მაგრამ მათი აზრი დღემდე არ გაუთვალისწინებიათ. ექსპერტების ვარაუდით, ზამთრის ოლიმპიური თამაშების მოახლოებამ განაპირობა აშშ-სამხრეთ კორეის დათმობაზე წასვლა და წვრთნების შეჩერება, რათა რეგიონში თავიდან აიცილონ ვითარების დაძაბვა. თუმცა აქვე აღსანიშნავია რომ დღემდე გადაწყვეტილი არ არის, წავლენ თუ არა ამერიკელი სპორტსმენები სამხრეთ კორეის ოლიმპიადაზე.

უცნაურ ინფორმაციას ავრცელებენ ამერიკელი ჟურნალისტები. მათი ინფორმაციით, სპეციალურ პროკურორ მიულერის ჯგუფში, რომელიც ტრამპის არჩევნებში რუსული კვალის ძიებითაა დაკავებული, რამდენიმე პირია, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, როგორმე ჩაძირონ ტრამპი. თუმცა საგამოძიებო ჯგუფში მხოლოდ ნეიტრალური ხალხი უნდა მუშაობდეს. ამიტომაც არ ერიდებიან ნებისმიერი ჭორის რეალურად წარმოჩენასო. საგამოძიებო ჯგუფმა დღემდე ვერანაირი დამამტკიცებელი ფაქტი ვერ წარმოადგინა. ჟურნალისტების ინფორმაციით, მიულერის ჯგუფმა 6 თვეში უკვე 7 მილიონი დოლარი დახარჯა, თანხის ნახევარი ისეთ ხარჯებშია წასული, რომელიც გამოძიებასთან არანაირ კავშირში არ არის.

შეტევა დონალდ ტრამპზე ახლა სხვა გზით წავიდა. აშშ-ში დღემდე სექს-სკანდალს თუ ხელოვანებს უგორებდნენ, ახლა პოლიტიკოსებზე გადავიდნენ. ამის გამო ახლახან თავი მოიკლა კენტუკის შტატის დეპუტატმა, რომელიც პოლიტიკოსობამდე ეკლესიის მსახური გახლდათ. ახლა ერთბაშად 17 ქალი ალაპარაკდა ტრამპის მხრიდან სექს-შევიწროებაზე. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც წლების წინ ტრამპის ეგიდით ჩატარებულ სილამაზის კონკურსში მონაწილეობდა, უცნაურ ფაქტს ასახელებს. თურმე მისთვის ტრამპს არაფერი უთქვამს, არც შეხებია, მაგრამ ძალიან ცუდად შემომხედაო, ჩივის.

ტრამპი, თავისთავად, უარყოფს ამას და დემოკრატებს შავი პიარის აგორებაში ადანაშაულებს.

„...მიუხედავად მილიონობით დოლარისა და უამრავი დროის ფუჭად ხარჯვისა, დემოკრატებმა ვერ შეძლეს ჩემი რუსეთთან კავშირის დამტკიცება. ყოველივე ესეც გამოგონილია...“ — განაცხადა ტრამპმა. საერთოდაც, ისეთი ცოლის პატრონს, როგორიც მას ჰყავს, როგორ შეიძლებოდა შეეხედა მათთვის, ვინც მას სექს-შევიწროებას აბრალებს.

აშშ-რუსეთის უთანხმოება-დაპირისპირებაზე პოლიტოლოგები ხშირად საუბრობენ, მაგრამ, როგორც ჩანს, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთთან თანამშრომლობენ. გასულ კვირას სანკტ-პეტერბურგში აღკვეთეს მოსალოდნელი ტერორისტული აქტი, დააპატიმრეს 7 პიროვნება. როგორც ირკვევა, ერთ-ერთი ტერორისტული ქმედება ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში უნდა განეხორციელებინათ, რომელიც ქალაქის ცენტრში, ნევის პროსპექტზეა. შეტევა ბარბარობის დღესასწაულის წირვისას იყო დაგეგმილი. როგორც გაირკვა, ინფორმაცია მოსალოდნელ ტერაქტზე რუს კოლეგებს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებმა მიაწოდეს. ამიტომაც რუსეთის პრეზიდენტმა კვირას დაურეკა ამერიკელ კოლეგას და მადლობა გადაუხადა. ამასთან, შეპირდა, რომ მომავალში რუსეთის მხარესაც ექნება კავშირი ამერიკასთან. ამის გარდა, პუტინისა და ტრამპის სატელეფონო საუბარი ხუთშაბათსაც შედგა ტრამპის ინიციატივით. ყოველწლიურ ტრადიციულ ბრიფინგზე პუტინმა ტრამპი თბილად მოიხსენია. სავარაუდოდ, ტრამპი მადლიერი დარჩა.

ევროპის კონტინენტის ქვეყნები გაურკვეველ სიტუაციაში არიან. საერთოდაც, ევროკავშირის არსებობა ეჭვქვეშ დგას. გასულ კვირას ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ევროპის მემარჯვენეთა კონფერენცია გაიმართა, სადაც 11 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კონფერენციაზე საფრანგეთის პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა მარი ლე პენმა. რომელიც არჩევნების შემდეგ პოლიტიკურად ნაკლებად აქტიურობდა, სენსაციური განცხადება გააკეთა. კონფერენციაზე მან თქვა: „ევროკავშირი საშინელი ორგანიზაციაა, რომელიც საერთოდ უნდა გაუქმდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავისი გაუაზრებელი პოლიტიკით ევროპის ქვეყნებს კატასტროფამდე მიიყვანს“. ლე პენის განცხადებითვე, უნდა გადაიხედოს მიგრანტთა მიმართ დამოკიდებულება და აიკრძალოს მათი ევროპაში დაბინავება.

ამ დღეებში გაირკვევა ასევე კატალონიის მომავალი, სადაც ვადამდელი არჩევნები ჩატარდება.

გია ბურდული
551 71 27 07

ძლიერი რეგიონები ძლიერი

წყალტუბო

წყალტუბო – ახალი სტანდარტები საბავშვო ბაღებში

სურსათის უვნებლობის სააგენტოს რეკომენდაციების თანახმად, საბავშვო ბაღებში იცვლება სამზარეულოს, სურსათის სასაწყობე ფართისა და სველი წერტილების სტანდარტები. ამ რეკომენდაციების შესრულება სავალდებულოა ყველა მუნიციპალიტეტისთვის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სარემონტო სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 194 000 ლარი გამოიყო და მუნიციპალიტეტის 22 ბაღში სამუშაოები სხვადასხვა გრაფიკით მიმდინარეობდა.

წყალტუბოს მერმა გრიგოლ იოსელიანმა, მოადგილეებთან ერთად, საბავშვო ბაღები დაათვალიერა.

„რამდენიმე საბავშვო ბაღში ამჟამად შეწყვეტილია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები სოფ. მაღლაკის, გვიშტიბის, გუმბრის, ქვიტირის, ფარცხაყანევის საბავშვო ბაღებში, აგრეთვე – ქალაქის ორ საბავშვო ბაღში (დანარჩენ ბაღებში სამუშაოები უკვე დასრულდა). სოფ. გვიშტიბის, მაღლაკისა და ქალაქის საბავშვო ბაღებში სამუშაოები დათქმულ ვადებში დასრულდება და ახალი წლიდან ყველა საბავშო ბაღი ახალ გარემოში, განახლებული სტანდარტებით შეუდგება ფუნქციონირებას“, – განაცხადა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გრიგოლ იოსელიანმა.

მერმა მოადგილეებთან, ზურაბ მაისურაძესთან და ალექსანდრე დადუნაშვილთან ერთად, მშენებარე სოფელ თერნალის ბაღიც მოინახულა.

ა(ა)იპ. „წყლტუბოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების“ უფროსის, გიორგი იობიძის თქმით, კიდევ ერთი ახლადგარემონტებული საბავშვო ბაღი შეემატა სოფელ ყუმისთავს.

ბაღდათი – მუნიციპალური ნარჩენების მართვა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის, არჩილ გოგსაძის კაბინეტში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმასთან დაკავშირებით.

საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ყველა მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა, 2017 წლის დასასრულამდე შეიმუშაონ ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს 2018–2022 წლებს.

ხარაგაული – უფასო სამედიცინო კონსულტაციები ქალბატონებისთვის

19–21 დეკემბერს სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ამბულატორიაში უფასო სამედიცინო აქცია იმართება.

„მედ ალფას“ გამოცდილი მეან-გენეკოლოგები, ქეთევან გიორგაძე და ირინა გოგიშვილი, უფასო კონსულტაციებს ჩაუტარებენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალბატონებს, რომლებსაც პროფილაქტიკური და ბაქტერიოლოგიური კვლევები ჩაუტარდება თ. კონსულტაციების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, პაციენტები კოლპოსკოპიურ გამოკვლევაზე გაიგზავნებიან.

აქციაში ჩართვა შეუძლია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნებისმიერ ქალბატონს.

დუშეთი – ბოდორნაში „მწვანე“ ჰესის მშენებლობა დაიწყო

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდორნაში, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ინიციატივით, ეკოლოგიურად სუფთა ჰესის მშენებლობა დაიწყო. ბოდორნა-ჰესის ტერიტორიაზე კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ცხადაძემ და ქვეყნის პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა სიმბოლური კაფსულა ჩააგდეს.

ბოდორნაჰესის მშენებლობისთვის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციის საერთო მოცულობა 10 მლნ ლარია. ჰესი შემდეგი წლის შემოდგომაზე ამუშავდება და საქართველოს ერთიანი ენერგოსისტემის განუყოფელი ნაწილი გახდება. მშენებარე ჰესის დადგმული სიმძლავრე 2,5 მგვტ-ია, ხოლო საშუალო წლიური გამომუშავება – 15 მლნ.კვტ/სთ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ სათავო ნაგებობები და სატუმბი სადგურები ელექტროენერგიით მუდმივად მომარაგდება, რაც თბილისის უწყვეტი წყალმომარაგების კიდევ ერთი გარანტია იქნება.

ზუგდიდის ცენტრალური ბულვარის კეთილმოწყობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიამ, ვიცე-მერ გია გულორდავასთან, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერიასთან და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

მერი ზუგდიდის ცენტრალურ ბულვარში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო, სადაც ამ ეტაპზე სანიაღვრე არხის მოწყობა და გარე განათების მონტაჟი მიმდინარეობს.

პროექტით გათვალისწინებულია მოაჯირებიანი ხიდ-გადასასვლელების, სარწყავი სისტემისა და წყალსაწრეტის მოწყობა, ასევე დეკორატიული ქოთნების განთავსება. შეიცვლება სკამები და სანაგვე ურნები, ბულვარის ტროტუარებზე შშმ პირთა დაუბრკოლებელი მოძრაობისთვის მოეწყობა პანდუსები, განახლდება ბულვარის გამწვანება.

ფოთი – მალთაყვის ბულვარის მშენებლობის ახალი ეტაპი

მალთაყვის სანაპირო ზოლზე მშენებლობის მეორე ეტაპი მიმდინარეობს. სამუშაო პროცესი ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ დაათვალიერა. ბულვარის სიგრძე გაიზრდება 800 მეტრით, მშენებლობის მეორე ეტაპზე იგეგმება მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობა, მცირე არქიტექტურული ფორმებისა და საყვავილეების, გარე განათების სისტემის მონტაჟი. პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მიმდინარე წელს 2 მილიონ 780 ათასი ლარის სამუშაოები ხორციელდება.

სოფელ მარანში სანიაღვრე არხები იწმინდება

აბაშის მუნიციპალიტეტის მერი ლევან მაკალათია სოფელ მარანში სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. არხი გზის იმ სამკილომეტრიან მონაკვეთზე მდებარეობს, რომელიც, ადგილობრივების თქმით, მარანჭალის ქვიშა-ხრეშის კარიერიდან მძიმეწონიანი თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანების ინტენსიური მოძრაობის გამო ზიანდება, არხი მიწით ივსება და იწვევს მიმდებარე საცხოვრებელი სახლების ეზოების დატბორვას. რამდენიმე დღის წინ, სოფელ მარნის მოსახლეობამ მერთან, ლევან მაკალათიასთან შეხვედრისას, ქუჩაზე არსებული პრობლემებისა და სხვადასხვა სახის საჭიროების შესახებ ისაუბრა. მოქალაქეებმა ერთ-ერთ უპირველეს პრობლემად სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია-გაწმენდის საჭიროება დაასახელეს. სანიაღვრე არხის შესაბამისი ტექნიკით გაწმენდითი სამუშაოები აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით მიმდინარეობს.

სენაკის მ უნიციპალიტეტის სრული გაზიფიცირება

სენაკის მუნიციპალიტეტის სრული გაზიფიცირება მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ამ ეტაპზე შპს „ალგეთი“ თეკლათის, ახალსოფლისა და ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაზიფიცირების სამუშაოებს ასრულებს.

თეკლათსა და ახალსოფელში სამუშაო პროცესს გაეცნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი და მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია.

წალენჯიხა – რეგიონული ჰაბის პრეზენტაცია

ასოციაცია „ათინათის“ ოფისში „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ჰაბის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიების მიზანი რეგიონში ჰაბის ცნობადობის გაზრდა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტიანი დიალოგის დაწყება იყო.

პრეზენტაციას ადგილობრივი თვითმმართველობების, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს ჰაბის როლსა და ფუნქციაზე, პროექტის სამომავლო გეგმებსა და იმ სავარაუდო სარგებელზე, რომელსაც რეგიონის სამოქალაქო საზოგადოება მიიღებს.

პროექტი ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურმა სამინისტრომ დააფინანსა, რომლის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სახის 110-ზე მეტი აქტივობა და გაიცემა 80-მდე გრანტი.

ზუგდიდი

საქართველოსთვის

თაფლის გადამმუშავებელი ახალი საწარმო დმანისში

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში თაფლის გადამმუშავებელი მცირე კოოპერაციული საწარმო გაიხსნა. ახალგახსნილი საწარმო საერთაშორისო ორგანიზაციის „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ რეგიონალურმა დირექტორმა მარსელა მაქსფილდმა, დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ტატუაშვილმა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშელაძემ დაათვალიერეს და კოოპერატივ „ქციის მონასტრის“ წევრებს შეხვდნენ.

„ქციის მონასტერი“ 2015 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში დაფუძნდა. კოოპერატივში გაერთიანდა 13 მეფუტკრე, იმავე წელს კოოპერატივს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ მიენიჭა სასოფლო-სამეუნეო კოოპერატივის სტატუსი. კოოპერატივმა მოიპოვა დაფინანსება სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პროგრამის (ENPARD) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის – „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ – ფარგლებში, „ოქსფამ საქართველოსა“ და საერთაშორისო ორგანიზაცია „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ მხარდაჭერით.

ბორჯომი – საბავშვო ბაღი დაბა წაღვერში

განახლებულ და სრულიად კეთილმოწყობილ საბავშვო ბაღებს კიდევ ერთი ბაღი შეემატა.

დაბა წაღვერის ახლად რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება რიგით მეშვიდეა, რომელიც ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა ბოლო 3 წლის განმავლობაში გაარემონტა.

საბავშვო ბაღი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ლიპარტიამ, კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა მარინა ხუჯაძემ და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორმა მანანა ორჯონიკიძემ დაათვალიერეს.

შენობაში სრულად გარემონტდა ოთახები, შეიღება კედლები და ჭერი, დაიგო ლამინატისა და კერამიკული ფილების იატაკი, მოწესრიგდა სველი წერტილები, საკანალიზაციო სისტემა, ელექტროგაყვანილობა, შეიღება შენობის ფასადი, სააღმზრდელო დაწესებულება აღიჭურვა თანამედროვე აუდიოდა ვიდეოპარატურით, სამზარეულო ტექნიკით, ასევე სპეციალური გაზქურებით, ოთახები განახლდა ასევე ავეჯით და მომარაგდა ყველა საჭირო ინვენტარით.

მერის განცხადებით, საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდება.

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია და ბავშვებისთვის სათანადო, საერთაშორისო სტანდარტების გარემოს შექმნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება მომავალ წელსაც“, – აღნიშნა მერმა.

უახლოეს მომავალში გაიხსნება ტაძრისის საბავშვო ბაღი.

სამუშაო შეხვედრა ნინოწმინდის მერიაში

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერმა ანივარდ მოსოიანმა, მოადგილეებთან ალექსანდრ მიქელაძესთან და არტავაზდ ტონოიანითან ერთად, სამუშაო შეხვედრა გამართა მუნიციპალიტეტის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსებთან. შეხვედრაზე მოისმინეს ინფორმაცია კვირის სამუშაო ანგარიშების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერმა ანივარდ მოსოიანმა სოფ. განძაში, ეფრემოვკაში, დიდ და პატარა ხანჩალში, უჩმანასა და კატნატუში გარეგანათებისა და საბავშვო ბაღებში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრა.

მოქალაქეთა შეხვედრები რუსთავის მერთან

ირაკლი ტაბაღუა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსთაველებს შეხვდა, მათ პრობლემებს გაეცნო და უფლებამოსილების ფარგლებში დახმარებას დაჰპირდა.

შეხვედრას მერის მოადგილე გოჩა ლორია და საკრებულოში აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი რამაზ გოგობერიშვილიც დაესწრნენ.

გორი – სოციალური პროგრამის ახალი პროექტი

მერიაში შექმნილმა დროებითმა სამუშაო ჯგუფმა პროექტზე მუშაობა დაასრულა.

„ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის ახალი წესის პროექტი, ამჟამად ლიკვიდირებული ქალაქ გორისა და გორის მუნიციპალიტეტების სოციალური პროგრამების საუკეთესო კომბინაციაა. დოკუმენტი მორგებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს“, – აცხადებს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დავით ჩიხრაძე.

სამუშაო ჯგუფს ერთი კვირის განმავლობაში გორის მერის მოადგილე ეკატერინე სუხიშვილი ხელმძღვანელობდა. ჯგუფში მუშაობდნენ გორის მერიის სოციალური და ადმინისტარციული სამსახურების თანამშრომლები, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და მოწვეული სპეციალისტები.

დოკუმენტი განსახილველად უახლოეს საკრებულოს სხდომას წარედგინება.

გორი

გიორგი ნაჭყებია – 90

მუდამ ახალგაზრდა...

სათაური ამ წერილისა თვითონ ჩაილაპარაკა, ანუ თვითონ მიკარნახა ღიმილით ბატონმა გიორგი ნაჭყებიამ — ჩვენმა უფროსმა მეგობარმა, ნაღდმა ქართველმა და უსაყვარლესმა პიროვნებამ.

— ხო... ოთხმოცდაათის ვხდები დღე-დღეზე, მეჭიდავება წუთისოფელი, მაგრამ, ჯერჯერობი, ვუძლებო... თუ რაიმეს დაწერ ჩემზე, ორი სიტყვა არ დაგავიწყდეს — „მარად ახალგაზრდა“... დანარჩენი შენ იციო...

რა ვიცი მე დანარჩენი?

ის ვიცი, რომ 90 წლის გიორგი ნაჭყებია, უკვე რა ხანია, ჩვენს გვერდითაა. არ დაჰკლებია „პარტიული მუშაობა“... ანუ წალენჯიხის რაიონის პირველი მდივნობა და დიდი ამაგი იქაურებისადმი, მოღვაწეობა ჟურნალისტიკაში, კერძოდ, გაზეთ „კომუნისტში“ და მისი რედაქტორის, ლეგენდარული დავით მჭედლიშვილის პირველი მოადგილეობა. ამ თანამდებობამდე ბატონი გიორგი „კომუნისტის“ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, რაც ერთ-ერთი მთავარი საქმე იყო გაზეთისათვის. რედაქტორის პირველი მოადგილეობა კი იმისთვის სჭირდებოდა, რომ გაზეთის თანამშრომლებისთვის თუ ასიათასობით მკითხველისთვის ეჩვენებინა „თავისი“ გაზეთი, ანუ თავისი შესაძლებლობანი საგაზეთო ჟურნალისტიკაში.

დადგა ეს მომენტიც: პარტიულ თემებთან ერთად, როგორც რედაქტორს, მას არც ქართული პოეზია თუ ქართული თეატრი და კინო ავიწყდებოდა, საერთოდ, ქართული კულტურა ყოველთვის წინა პლანზე ჰქონდა წამოწეული და, კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით ხელმძღვანელობდა საბჭოთა საქართველოს უპირველესი გაზეთის გამოცემას და თანამშრომლებთან ურთიერთობაც არ ეშლებოდა. რა დამავიწყებს, რამდენჯერმე მე პირადად როგორ დამიდგა გვერდით და კაცურკაცობის მაგალითი მიჩვენა.

კაცურკაცობას გადასცემს დღეს ბატონი გიორგი შთამომავლობას. მაშ, თქვენს ჯიშსა და ზნეობაზე გაზრდილიყოს თქვენი შთამომავლობა, ღმერთმა ჯანი და ხვალის იმედი არ მოგიშალოთ, ჩვენო საყვარელო კაცო!

ვილენ მარდალეიშვილი

გიორგი ნაჭყებიას – შესანიშნავ პიროვნებას, ღირსებით და კეთილშობილებით სავსე ადამიანს, თაობების გამზრდელს, თავისი ქვეყნის ჭეშმარიტ პატრიოტსა და მოამაგეს, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით, ვულოცავთ 90 წლის იუბილეს და დიდხანს სიცოცხლეს, მხნეობას და ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N1 2017)

ადამიანის დანახული „ციდან მოსულები“

რა თქმა უნდა, უპირველესად, აუცილებლად აღსანიშნია „ბიბლიაში“ გადმოცემული საინტერესო მომენტები, რაც რაღაც მფრინავ ობიექტებს ეხება. მაგალითად, ეზეკიელის დანახული „მფრინავი ბორბალი“ (ეზეკ 1—28), რომელიც მან მდინარე ქებართან იხილა. მისი აღწერილობით, მეფე იეჰოიაქინის გადასახლებიდან მეხუთე წელს იხილა ჩრდილოეთიდან მომავალი ქარიშხალი, სქელ ღრუბლებში მოგიზგიზე ცეცხლი, რომლის გარშემო სინათლე იყო, მისი შუაგულიდან კი ოქროსა და ვერცხლის შენადნობის მსგავსი რაღაც მოჩანდა. მის შუაგულში ცოცხალი ქმნილების მსგავსი ოთხი არსება იყო. ეზეკიელი აღწერს არსებებს დაწვრილებით და აღნიშნავს, რომ ადამიანის ხელები



ჰქონდათ, თუმცა ტერფები ხბოს ჩლიქებს მიუგავდათ და გაპრიალებული სპილენძივით უბზინავდათ; ოთხივეს ადამიანის სახე ჰქონდა, მაგრამ ოთხი სახე, ლომის, ხარის და არწივის სახის ჩათვლით. ჰქონდათ ფრთები. „სვლისას არ ტრიალდებოდნენ. ცოცხალი ქმნილებების მსგავსი არსებები გარეგნულად მოგიზგიზე ნაკვერჩხალს ჰგავდნენ. ცოცხალ ქმნილებებს შორის ჩირაღდნების მსგავსი რაღაცები მოძრაობდნენ წინ და უკან, კაშკაშა იყო მათი ცეცხლი და ცეცხლიდან ელვა გამოდიოდა. ელვას ჰგავდნენ ცოცხალი არსებები როცა მიმოდიოდნენ. როცა ცოცხალ არსებებს შევყურებდი, დავინახე რომ მიწაზე ცოცხალი არსებების გვერდით იყო თითო ბორბალი, თითოეულის ოთხივე სახესთან. ბორბლები თავიდან ბოლომდე კაშკაშებდა ქრიზოლითივით; ოთხივე ერთმანეთს ჰგავდა. ბორბლის აგებულება ისეთი იყო, თითქოს ბორბალი ბორბალში ზისო. სვლისას ისინი ოთხივე მხარეს მოძრაობდნენ, მოძრაობისას არ ტრიალდებოდნენ. მათი სალტეები შიშისმომგვრელი სიმაღლისა იყო; როცა ცოცხალი არსებები მიდიოდნენ, ბორბლებიც გვერდით მიჰყვებოდნენ, როცა ცოცხალი არსებები მიწიდან აიწეოდნენ, ბორბლებიც იწეოდნენ. საითკენაც სული აღძრავდა, იქით მიდიოდნენ, რადგან სული აღძრავდა მათ...“ და ა.შ დაწვრილებითი აღწერილობა.

საინტერესო ამონარიდია „ბიბლიიდან“. გამოსვლა 19 (საუბარია სინას მთაზე)

„ავიდა მოსე ჭეშმარიტ ღმერთთან, მოუხმო მას იეჰოვამ მთიდან და უთხრა: „ასე უთხარი იაკობის სახლსა და ისრაელის ძეებს: „თქვენ თვითონ დაინახეთ, რა გავუკეთე ეგვიპტელებს, რომ არწივის ფრთებით მეტარებინეთ (რა არწივის ფრთებზეა საუბარი?) და ჩემთან მომეყვანეთ. ახლა, თუ გულისყურით მოუსმენთ ჩემს ხმას და დაიცავთ შეთანხმებას, ყველა ხალხისგან გამორჩეული საკუთრება იქნებით ჩემთვის, რადგან ჩემია მთელი დედამიწა. მღვდლების სამეფოდ და წმინდა ერად იქცევით ჩემთვის.“ ეს სიტყვები უთხრა ისრაელის ძეებს. მოსეც მივიდა, მოუხმო ხალხის უხუცესებს და აუწყა ყველა ის სიტყვა, რაც იეჰოვამ უბრძანა მას. მთელმა ხალხმა ერთხმად მიუგო: „ყველაფერს შევასრულებთ, რაც იეჰოვამ თქვა.“ მაშინვე გადასცა მოსემ ხალხის სიტყვები იეჰოვას. (ე.ი მათი ღმერთი არ არის ყოვლისშემძლე, როგორც ისინი ირწმუნებიან, ვინაიდან, თვითონ მან ვერ გაიგო) იეჰოვამ უთხრა მოსეს: „აი, შავ ღრუბელში მოვდივარ შენთან, რათა გაიგონოს ხალხმა, როცა დაგელაპარაკები, და შენც სამარადისოდ გერწმუნონ.“ უთხრა იეჰოვამ მოსეს: „მიდი ხალხთან, განწმინდე ისინი დღეს და ხვალ, და გაირეცხონ მოსასხამები. მოემზადონ მესამე დღისთვის, რადგან მესამე დღეს ჩამოვა იეჰოვა სინას მთაზე მთელი ხალხის თვალწინ. საზღვრები დაუდგინე ხალხს და უთხარი: „ფრთხილად იყავით, რომ მთაზე არ ახვიდეთ და არ მიეკაროთ მის ძირს. ვინც მთას მიეკარება, უნდა მოკვდეს. ხელი არ მიაკაროთ დამნაშავეს, რადგან უნდა ჩაიქოლოს ან უნდა განიგმიროს; გინდ ცხოველი იყოს, გინდ კაცი, არ უნდა იცოცხლოს.“ მთასთან მოსვლა საყვირის ხმაზე შეეძლებათ.“ (მაშასადამე, სანამ რაღაც მფრინავი აპარატი არ გაფრინდება, მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული მთაზე ასვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილია). ჩამოვიდა მთიდან მოსე ხალხთან, განწმინდა ისინი და ხალხმაც გაირეცხა მოსასხამები. უთხრა მან ხალს: „სამ დღეს მოემზადეთ. კაცებო, არ გაეკაროთ ქალებს.“ მესამე დღე რომ გათენდა, დაიწყო ქუხილი და ელვა. ჩამოწვა მთაზე შავი ღრუბელი. გაისმა საყვირის ძლიერი ხმა და ბანაკში მყოფი მთელი ხალხი კანკალმა აიტანა. (ანუ მფრინავი აპარატი მოახლოვდა) გამოიყვანა მოსემ ხალხი ბანაკიდან ჭეშმარიტ ღმერთთან შესახვედრად და დადგნენ ისინი მთის ძირას. კვამლი ასდიოდა სინას მთას, რადგან იეჰოვა ჩამოვიდა მასზე ცეცხლში. ბუხრის კვამლივით ასდიოდა კვამლი და მთელი მთა ზანზარებდა. საყვირის ხმა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა (მაშასადამე, ძლიერი გამწევი ძალისა და ძლიერი ძრავის რაღაც მფრინავი ობიექტი დაჯდა მთაზე). ლაპარაკობდა მოსე და ჭეშმარიტი ღმერთი ეხმიანებოდა. ჩამოვიდა იეჰოვა სინას მთის წვერზე. მოუხმო იქ მოსეს

და მოსეც ავიდა. უთხრა იეჰოვამ მოსეს: „ჩადი, გააფრთხილე ხალხი, არ ამოიჭრან იეჰოვასთან მის სახილველად, თორემ ბევრი მათგანი დაეცემა. განიწმინდონ მღვდლებიც, რომლებიც იეჰოვას უახლოვდებიან, რათა არ დაატყდეთ იეჰოვას რისხვა.“ მიუგო მოსემ იეჰოვას: „ვერ ამოვა ხალხი სინას მთაზე, რადგან შენ უკვე გაგვაფრთხილე და მითხარი, საზღვრები დაადგინე მთასთან და წმინდად ჰყავიო ის.“ მიუგო იეჰოვამ: „წადი, ჩადი და აარონთან ერთად ამოდი, ოღონდ არც მღვდლები და არც ხალხი არ ამოიჭრან და არ ამოვიდნენ იეჰოვასთან, რომ არ დაატყდეთ მისი რისხვა.“. მოსეც ჩავიდა ხალხთან და დაელაპარაკა მათ.“

მაშასადამე, მათი ღმერთი (იაჰვე, იეჰოვა) მიფრინდა რაღაც მფრინავი აპარატით, გაუშვა კვამლი და არ ეჩვენა არავის, გარდა განდობილი მოსესი, რომელიც უკვე ნაფრენი იყო ამ აპარატით. რატომ ერიდებოდა მათი ღმერთი ხალხთან გამოჩენას? რატომ იყო აკრძალული გარკვეული საზღვრის გადაკვეთა, რატომ მოკლავდნენ თანატომელები?

ახსნა ასეთი აქვს — ყველაფერი ძალზე მარტივადაა. მათი ღმერთი (იაჰვე, იეჰოვა), ეს არის საშიში დემონი სავაოფი, რომლის ხილვა ქრისტიანულ ტაძრებში შესაძლებელია... ის ლილიტის ვაჟია რომელიც ეყოლა სამუელისგან, სატანიელის (სატანის) მარჯვენა ხელისგან.

სიტყვამ მოიტანა და რა ვიცით ლილიტზე?

ვიცით ლილიტი, რომელიც ადამის ცოლი იყო ევამდე. როგორც გვასწავლეს, ღმერთმა ქალი და მამაკაცი სამყაროს შექმნის მეექვსე დღეს შექმნა, მაგრამ ის ქალი ევა კი არა, ლილიტი ყოფილა. ენოქის პირველ წიგნში, რომელიც ჩ.წ. აღ-ის პირველ საუკუნეს ეკუთვნის, ლილიტი დაწვრილებით ყოფილა აღწერილი, მაგრამ ენოქის წიგნიდან გადაწერილ „კაბალაში“ (6—7 საუკუნეები) ლილიტი რატომღაც აღარ არის ნახსენები.

(რაც საკუთარი თვალით არ უხილავს ადამიანს, თავი როგორ გამოიდოს, მაგრამ თუ ეს მართლაც ასე იყო, ისევ ისტორიის გაყალბება, ისევ დამალვასთან გვაქვს საქმე...)

ძველი აღთქმისეული ადამისგან განსხვავებით, ლილიტს შეუნარჩუნებია ღვთაებრივი საწყისი. მითების მიხედვით, მას შეუძლია იცვალოს იერი. არის თავისუფალი, ძალიან ჭკვიანი, ნაყოფიერი და რაც მთავარია, მან შეძლო არ ქცეულიყო მოკვდავად, თუმცა, თავნებობისთვის ღმერთის სასჯელს ვერ გაექცა. საინტერესოა, არა?

ამბავი ასე განვითარებულა. შექმნა ღმერთმა სამყარო და თანაბარუფლებიანი მამაკაცი და ქალი, ადამი და წითურთმიანი ლილიტი. ადამს ისე შეჰყვარებია ლილიტი, რომ მის სულში ღმერთის ადგილი აღარ დარჩენილა. „არ შეიქმნა თავისა შენისა კერპი!“ — შეუხსენებია ღმერთს ადამისთვის და დაურიგებია, ცოლი ქმარს უნდა ემორჩილებოდესო. Lლილიტი არ დათანხმებია ადამთან უსიტყვო მორჩილებას და დაწყებულა გაუთავებელი უთანხმოება.

ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, საბედისწერო ჩხუბი ღამით მომხდარა, როდესაც ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულების შეთავაზების დროს ლილიტს განუცხადებია, მე არ დავწვები შენს ქვემოთ, ჩვენ თანასწორები ვართ და ამიტომ არც დაგემორჩილებიო. Aარც ადამს დაუხვევია, მე მხოლოდ ზემოდან დავწვები, რადგან შენზე აღმატებული ვარ; შენ არავინ არ ხარ, მხოლოდ ჩემს დამხმარედ ხარ შექმნილი და ასეც იქნებაო. განრისხებულ ლილიტს წარმოუთქვამს ღმერთის სახელი, რომლის წარმოთქმაც იკრძალებოდა, დაუწყევლია ადამი და წითელი ზღვისკენ გაფრენილა. ღმერთს ანგელოზები დაუდევნებია უკან, დაბრუნდი, თორემ ყოველ დღეს შენი 100 შვილი მოკვდებაო, მაგრამ ლილიტს ადამი აღარ უყვარდა და აღარ დაბრუნდა. ამის შემდეგ ლილიტს აეკრძალა ადამიანებს შორის ცხოვრება. ლილიტისგან მიტოვებული ადამი შესცოდებია ღმერთს და ამის შემდეგ შეუქმნია ევა სიყვარულისა და ერთგულებისთვის. ერთადერთი ადგილი „ბიბლიაში“, სადაც შემორჩენილია ლილიტის სახელი ისაიას წიგნია.

„კაბალას“ (ჰაპიუსის) მიხედვით, ლილიტი მართლა იყო ადამის პირველი ცოლი, მაგრამ უღალატა, რის გამოც ჯოჯოხეთში დაინთქა, სადაც სამეელს გაჰყვა ცოლად. ლილიტი ანსახიერებს პროსტიტუციას, შიმშილს, შავ ჭირს...

ერთ-ერთ მაგიურ პენტაგრამაზე გამოსახული არიან ლილიტი და სამუელი;

იუდეორ დემონოლოგიაში ლილიტი მდედრობითი სქესის ავი სულია. მისი სახელი წარმოდგება შუმერული დემონების: ლილუს, ლილიტუსა და არდატ ლილის სახელებისგან.

ლილიტი ძალადობს მამაკაცებზე იმ მიზნით, რომ მეტი შვილი გააჩინოს, ამიტომ „თალმუდი“ აფრთხილებს მამაკაცებს რომ სახლში მარტო არ დარჩნენ ღამე.

ლილიტი პირველად იხსენიება ბაბილონურ ეპოპეაში „გილგამეში“. პროლოგში წერია, რომ ქალღმერთმა ინანამ, რომელიც 10 წელი ახარებდა ხე ჰულუპუს, რათა მისგან თავისთვის ტახტი და საწოლი დაემზადებინა, ერთ დღეს აღმოაჩინა რომ ხეზე „უცხოები“ დასახლებულან. დაუპატიჟებელ სტუმართა შორის იყო ლილიტიც, ძალიან ლამაზი ქალი ბუს ფეხებით...

რა თქმა უნდა, ლილიტის ყოველ ხსენებას სასტიკი აგრესია მოჰყვება ხოლმე, როგორც მტანარი სიცრუისას. ისმის ძირითადად კითხვები: თუ ადამის გარდა სხვა მამაკაცი არ არსებობდა, ვისთან უღალატა ლილიტმა? „ბიბლიაში“ მკაფიოდ წერია, რომ ადამის პირველი და ერთადერთი ცოლი იყო ევა! ამ ორის გარდა არავინ იყო დედამიწაზე და ვისთან უღალატა? და ა.შ მაგრამ „შესაქმესაიში“ პირდაპირ წერია რომ ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ადამი და ევა სამოთხეში იყვნენ, ქვეყნად იყვნენ ვიღაც სხვებიც, „თესლის მთესველები“... შემდგომ ამისა, ადამისა და ევას და მათი ოჯახის წევრების გარდა, კიდევ არსებობდნენ სხვებიც... არის საკითხები, რაზეც სამღვდელოება რჩევას იძლევა, რომ არ ჩაუღრმავდნენ რიგითი მოკვდავები... როგორც გავიგე, არსებობს „ადამის ეთიოპიური წიგნი“, ქართულად, თუ სწორად დავიხსომე, ნადარეიშვილის ძველი ტექსტების ნარკვევებში უნდა იყოს და საპატრიარქოს ბიბლიოთეკაშიცაა. მართლმადიდებლური ეკლესია ლილიტის შესახებ ამბებს აღიარებს როგორც აპოკრიფებს. აპოკრიფები (ბერძ საიდუმლო, დაფარული), მოგეხსენებათ, გვიანიუდეური და ადრექრისტიანული ლიტერატურული არაკანონიკური თხზულებებია. თავდაპირველად ეს ტერმინი გამოიყენებოდა გნოსტიკური ხასიათის თხზულებების მიმართ, რადგან გნოსტიკოსები ცდილობდნენ თავიანთი სწავლება საიდუმლოდ შეენახა თ. მოგვიანებით, ტერმინი დაუკავშირდა ასევე ადრექრისტიანულ ტექსტებს (სხვადასხვა არაკანონიკურ სახარებებს, ეპისტოლეებს, გამოცხადებებს), რომლებიც ქრისტიანული ეკლესიის მიერ არ იქნა ცნობილი ღვთივშთაგონებულად და არ შევიდნენ ბიბლიურ კანონში. შესაბამისად, აპოკრიფები იყოფა ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის აპოკრიფებად.

ასეა თუ ისე, ეს საუბარი სინას მთაზე მფრინავი აპარატის გამოჩენას მოჰყვა, რომელშიც მოსეც კი ყოფილა ნაჯდომი, ამდენად, უპირველესად ჩვენი სვეტიცხოველი გაგვახსენდება.

არა ერთხელ გახდა მსჯელობის საგანი მაცხოვრის ჯვარცმის ფრესკა სვეტიცხოველში, რადგან ითქვა, რომ მასზე ე.წ „მფრინავი თეფშებიც“ არის გამოსახული. უპირველესად ვთქვათ ის, რომ სასულიერო პირები მკვეთრად უარყოფითად და ემოციურად უარყოფენ ამ მოსაზრებას. ისინი ამბობენ, რომ ის, რასაც „ვიღაცები“ მფრინავ თეფშებს უწოდებენ, არის მხოლოდ და მხოლოდ მნათობები, მზე და მთვარე, მათი ამგვარად გამოსახვის ფორმა კი ხატწერის ერთ-ერთი სახეა. ამ ფორმით გადმოცემის ხერხი კი მდგომარეობდა იმაში, რომ როდესაც მაცხოვარი ჯვარზე გააკრეს სავსემთვარეობა იყო და მზის დაბნელება მოხდა. ეს ასტრონომიულად შეუძლებელია, მაგრამ ამით მაცხოვრის მიერ კიდევ ერთი სასწაული აღსრულდა, მზეც დაბნელდა და მთვარეც იყო ცაზე.

(გაგრძელება იქნება)

რას ბურჭალობს ბურჭულაძე?

მაღალი ხელოვნების მოტრფიალე მომღერლებმა და მოცეკვავეებმა მაღალი პაატას დასაცავი განცხადებები გაავრცელეს, რამდენიმე დღის წინ და გვითხრეს – ბევრნი დავდგებით პაატას გადასარჩენადო, პაატას განადგურება სურთო, პაატას სახელის ჩირქის მიცხება სურთო...

როგორ? კიდევ შერჩა განა ბატონ პაატას სახელი?

როგორ? განა იმ კრახის და გადაგდებების სერიის შემდეგ განადგურებული არ არის?

დიდმა მოურავმა გადაიტანა შვილის მოჭრილი თავი რომ გამოუგზავნეს სელჩუკებმა და ჩვენი პაატაც გადაიტანსო – ერთგულებმა...

ხო, რატომაც არა, ვენის ციხის დღიურები თუ დაწერა მაღალი ხელოვანის შვილმა, საქართველოს ციხე რითია ნაკლები? წერა მაღალმა ხელოვანმაც იცის... შეიძლება კითხვა არ იცოდეს, მაგრამ წერა ნამდვილად იცის...

თორემ, კითხვა რომ იცოდეს, ვენის ციხის დღიურს სად გამოაჩენდა, კითხვა რომ იცოდეს, იმას მაინც გაიგებდა, რომ ვიცით, ვიცით, რამდენი გადააგდო და სად, რამდენი მიითვისა და როდის...

აფერისტის ორი ტიპი არსებობს: ერთი გულადია და ლომის ხახიდან შეუძლია ფულის და განძის გამოტანა, მეორე მშიშარაა და უკანალიდან იპარავს, ხელს ისვრის მართალია, სუნი მიჰყვება მართალია, მაგრამ სამაგიეროდ, ჰგონია, რომ ვერ დაინახავენ, ვერ იპონიან და ყველაფერს იმათ დაბრალებენ, ვინც ლომის ხახაში გადის და გამოდის...

მთავრიანი ღამე რომ არ ყოფილიყო, სააკაშვილი რომ ისევ ყოფილიყო, ვანო ციხეში რომ არ იჯდეს, უგულავა რომ ისევ ქალაქის მერი ყოფილიყო – ახლა ისევ დიდ სცენაზე იდგებოდა მაღალი ხელოვანი, ახლა ისევ ბან-ბან გადაურიცხავდნენ ფულს, ახლა ისევ ბან-ბან ჩაიჯიბავდა...

ზოგნი მეტყვით, ზოგადად საუბრობო... რაც მე კონკრეტული მაგალითებით ვწერე, რომელმა შეიბარტყუნეთ ყური, რომელს აგიცრემლდათ თვალი, რომელი გამოიქეცით პაატას მიერ გადაგდებული ოჯახების დასახმარებლად?

მართალია, ოჯახები რა შუაშია, მაღალი ხელოვანია გადასარჩენი, ძალები უნდა შემოინახოთ, მაღალისთვის უნდა შემოინახოთ...

მაღალმა პროკურატურაში ვერ მოვალო, სასამართლო უფრო გამჭვირვალეაო...

თუ მართლა მაღალია მაღალი, როცა დავწერე, რომ 8 სულიანი ოჯახი გადააგდო, დაერეკა, მისულიყო იმ ოჯახამდე, გაერკვია, რას ელოდება გამჭვირვალე სასამართლოს და დაბურულ პროკურატურას...

თუ მართლა ასე მაღალია მაღალი, ეკლესიის ფულის მოპარვაც დასდეს ბრალად და ტაძარში მისვლის, მედიაში მოსვლის მაგივრად, სადღაც ატარებს თავისუფლების უკანასკნელ დღეებს, სადღაც და არა სამშობლოში, სადღაც და არა გაძარცვულ ტაძართან...

ვარდი უეკლოდ ვის დაუკრეფია და არც უკანალიდან ფულის მომპარავი გამომძვრალა ჯერ სუნის გარეშე, ხახაში მოხვედრის გარეშე...

სადღაც მართალია მაღალი, ცოტა დაბურულია პროკურატურა, თორემ ამდენ ხანში რა გახდა ამ დანაშაულებათა დიდი ნუსხის მაინც დამტკიცება, ამდენი თვის მერეც მხოლოდ მოწმედ უნდა დაჰკითხოთ, ბრალის წაყენებისთვის ისევ არ ხართ მზად?

მედიამ ლამის არის ბრალი წავუყენეთ, მედიამ, ლამის არის გავასამართლეთ – თქვენ რა დაბურვა გჭირთ, რა სამხილის ნაკლებობა გჭირთ?

ყველა იმ ლარისთვის უნდა დაისაჯოს, რომელიც ადამიანებმა ოჯახებს მოაკლეს და გადაურიცხეს, ყველა იმ იმედის წართმევისთვის უნდა დაისაჯოს, რომელი იმედითაც ადამიანებს სიკეთის მკეთებელი ხალხის სჯეროდათ ჯერ კიდევ...

სინდრომმა გადაარჩინა აქამდე მაღალი – რაში სჭირდებას – სინდრომმა...

მახსოვს, შევარდნაძეზეც ეგრე ამბობდნენ – რაში სჭირდება ახლა ამას ამ ბედკრული და ღარიბი ქვეყნის პრეზიდენტობა, ვერ ივჯდებოდა გერმანიაში? ვერ წაიკითხავდა მშვიდად ლექციებს? ჩვენთვის მევიდა, ჩვენთვის, თორე...

იგივე მესმოდა თავიდან მაღალზეც – რაში სჭირდება ამას ჩვენი ფული, ამას იმდენს უხდიან ერთი სიმღერისთვის...

იქნებ არც უხდიან, იქნებ არც ისე მაღალია, ხელოვნებაშიც არ არის იქნებ ისე მაღალი, ჩვენ რომ ავწიეთ და ავამაღლეთ, თორემ ადამიანობაში მაგის სიმაღლე ჩემი კედის ძირს ჩასცდა ქვემოთ და ეგაა...

და მაინც, სად გამოდიან ნეტავი მაღალის დამცველები მაღალის დასაცავად?

და მაინც, რისგან იცავენ ნეტავი და როგორ იცავენ?

იმედწართმეული, ლარწართმეული ქართველი ხალხისგან დაიცავენ? გაძარცვული ტაძრისგან დაიცავენ?

როგორ დაიცავენ, ხელებს დაბანენ და სუნამოს აპკურებენ, რომ ლომის უკანალის სუნი აღარ ჰქონდეს? ვარდების ქურდობის დროს დასერილი სხეულიდან ეკლებს დააძრობენ?

რა სირცხვილია, ქუჩაში მჯდომ მათხოვრებს აღარ უნაწილებდა ხალხი ფულს, სულ იმაზე გვმოძღვრავდნენ მაღლები, მათხოვრებს უნდათ და იმიტომ მათხოვრობენ, იმდენ ფულს აკეთებენ მათხოვრები, მუშაობას ქუჩაში დგომა ურჩევნიათო, იმათხოვრებენ და წავლენ და დალევენო... – ხოდა, ქუჩაში მჯდომ მათხოვრებს აღარ უნაწილებდა ხალხი ფულს, მაღალთან გაჰქონდათ, მაღალი უკეთ განკარგავს, მაღალმა უკეთ იცისო, მაღალი ამ ფულით ტაძარს ააშენებს და მაღალი ამ ფულით უსახლკარო ოჯახებს სახლს უყიდისო...

ჰოდა, იყიდა მაღალმა, თავისთვის იყიდა, თავისიანებისთვის იყიდა... ეტყობა ხელოვნებაშიც დიდი ვერაფერი მაღალია ჩვენი მაღალი, თორემ ხელოვნებით იყიდდა, ჩვენგან ნამათხოვრები ლარით კი არა...

ასეა, პატიოსნება ბომბს ჰგავს, ერთხელ აგიფეთქდება და მორჩა...

გურულს ექიმმა წამალი გამოუწერა: – დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ დალიეთო.

შეშოთდება გურული: – დღეში სამჯერ რომ ვჭამო, ავად არ გამხდის, ძამაო?

ჭამეთ გურულებო, დღეში სამჯერ ჭამეთ, აგერ დღეში ათჯერ ქურდობაც არ ხდის თურმე ავად, დღეში ათჯერ ქურდიც მოწმის სტატუსით უნდა დავკითხოთ და მაინც მაღალია...

რაც ვიზამთ, ზოგი ისეთი მაღალია, დამჯდარიც ამდგარს ჰგავს...

გურიიდან დამირეკეს ამას წინათ, ეს თქვენი პროკურატურა ჩემს მამალზე უარესიაო...

როგორ-თქო?

დედა, იმფერი ზარმაცია ჩემი მამალი, სხვები რომ ყივიან, აგი თავს უქნევსო და მაგას თავის დაქნევაც ეზარებაო...

ვნახოთ, გამჭვირვალე სასამართლოს რას იზამს, რას იტყვის და რას დააკანონებს...

ვნახოთ, მართლა ერთია თუ არა აქლემისა და ნემსის ქურდი, რამდენად მაღალია მაღალი და ვინ დააფარებს ხელს, ვინ გამოვა და ვის წინააღმდეგ გამოვა, ვნახოთ, ქუჩაში მჯდომი და ფილარმონიის დიდ სცენაზე მდგარი მათხოვარიც ერთი და იგივეა, თუ არა...

და ოდესმე, ნეტა ვინმე გაიბარტყუნებს ცალ ყურს მაინც იმ ოჯახებზე, რომელიც მაღალმა გადააგდო და სახლისა და იმედის გარეშე დატოვა, თუ არა...

თამო კეშელავა
555 46 08 04

თბილისის საკონცერტო დარბაზი

ფონდი იავნანა

საქველმოქმედო კონცერტი

მიშას „კოლეგები“ დანარჩენი მსოფლიოდან

დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ერთიანობის გარანტი, ასევე, მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი პირი – ასე განისაზღვრება ქვეყნის პირველი პირი – პრეზიდენტი კონსტიტუციით. თუმცა, ისტორიიდან არაერთი მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს განსაზღვრება რიგ შემთხვევაში სრულიად საპირისპიროდ სრულდება. პრეზიდენტების გარკვეულ ნაწილს მხოლოდ საკუთარი თავი ადარდებთ და საერთოდ არ ანაღვლებთ ხალხის კეთილდღეობა. აღნიშნული თვისებების გამო არაერთი ქვეყნის პრეზიდენტს ქვეყნიდან გაქცევაც კი მოუხდა, გარკვეული ნაწილი კი გასამართლდა. სააკაშვილის მომხრეებს, მსგავსი რამ დაუშვებლად მიაჩნიათ — რას გვეტყვის ევროპა, დასავლეთი, რა პასუხი გავცეთ მსოფლიოს – ასეთია მათი რეაქცია.

ბატისტა

ჩვენთან ქვეყნის დამნაშავე ყოფილი პირი „დემოკრატიის შუქურაა“ და აღმა-დაღმა უპასპორტოდ დაყიალობს. ქართველი ხალხი ქართული ნიურნბერგის პროცესის გამართვას და სააკაშვილის ჰააგის ტრიბუნალით გასამართლებას ითხოვს, მაგრამ ყურს არავინ უგდებს.

გაგაცნობთ პრეზიდენტებს, რომლებიც თავიანთი ქვეყნებიდან გაიქცნენ, გასამართლდნენ და დღემდე ციხის ბინადარნი არიან.

ფულხენსიო ბატისტა 1940 წლიდან მართავდა კუბას. იგი ხალხს არ უყვარდა და ამიტომ ძალაუფლება სახელმწიფო გადატრიალების გზით მოიპოვა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში ოპოზიციონერებს დაუნდობლად უსწორდებოდნენ – ხდებოდა შეკვეთილი მკვლელობები, რაც საკმაოდ გავრცელებული იყო. ასევე, ხელისუფლებისთვის არასასურველი პირები უგზო-უკვლოდ უჩინარდებოდნენ და ა.შ. როდესაც რევოლუციონერები ფიდელ კასტროსა და ერნესტო ჩე გევარას ხელმძღვანელობით კუბის დედაქალაქ ჰავანაში შევიდნენ, ბატისტამ ქვეყნის ოქროს მარაგის დიდი ნაწილი გაიტაცა და დომინიკის რესპუბლიკაში გაიქცა, იქედან კი – პორტუგალიაში. ბატისტა 1973 წელს ესპანეთში გარდაიცვალა.

ჰაიტის პრეზიდენტი და დიქტატორი **ჟან-კლოდ დიუვალიე** ქვეყანას 1971–1986 წლებში მართავდა. მას მეტსახელად „ბეიბი დოკი“ ერქვა. 1986 წელს ქვეყანაში მასობრივი ანტისახელისუფლებო გამოსვლები დაიწყო, რომლის ჩახშობის მიუხედავად პრეზიდენტი ქვეყნიდან გაიქცა და თავი საფრანგეთს შეაფარა. 2011 წელს მან საკუთარი ხალხის წინაშე მოინანია დანაშაული, სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მეორე დღესვე „ბეიბი დოკს“ კორუფციასა და სახელმწიფო სახსრების მითვისებაში დასდეს ბრალი და დააპატიმრეს. ჟან-კლოდ დუვალიე 2014 წელს პორტო-ო-პრენსეში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა.

ასევე, კორუმპირებული იყო ტუნისის პრეზიდენტი **ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი**. იგი ე.წ. არაბული გაზაფხულის პირველი მსხვერპლია. ქვეყანაში ცხოვრების მაღალი დონის მიუხედავად, რომელსაც ბენ-ალიმ 1987 წელს, დანიშვნიდან მიაღწია, მისი ავტორიტარიზმის შედეგად ქვეყანაში საშინელი კორუფცია გაჩნდა. 2010 წელს ტუნისელმა ხილით მოვაჭრემ ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა. დაიწყო მასობრივი გამოსვლები, ე.წ. ჟასმინების რევოლუცია. საპროტესტო გამოსვლების გამო, 2011 წლის 14 იანვარს მან ქვეყანა დატოვა და საუდის არაბეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. გავრცელებული ინფორმაციით, 1,5 ტონა ოქრო გაიტაცა. 2012 წელს ტუნისის სამხედრო ტრიბუნალმა მას დემონსტრაციების დაშლისას მომიტინგეების მკვლელობის ბრალდებით, დაუსწრებლად სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

კორუფციას, საბოლოო ჯამში კი „ტიტების რევოლუციას“ შეეწირა ყირგიზეთის პრეზიდენტის **ასკარ ასაევის** პოსტი. იგი 1991 წელს ყირგიზეთის პრეზიდენტად აირჩიეს. წარმატებული ანტიინფლაციური, სავაჭრო პოლიტიკის პარალელურად, პრეზიდენტის ნათესავებისა და მომხრეების წარმოუდგენელი გამდიდრება მიმდინარეობდა. 2005 წლის „ტიტების რევოლუციის“ შემდეგ, აკაევი ყაზახეთში გაიქცა.

„ტიტების რევოლუციამ“ ხელისუფლებაში **კურმანბეკ ბაკიევი** მოიყვანა. მიუხედავად ამისა, 2010 წლის 7–15 აპრილს რევოლუციური მოვლენების გამო ქვეყნის დატოვება მასაც მოუწია. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, იგი ბელარუსში გაიქცა, სადაც უკვე მოქალაქეობის მიღებაც მოასწრო.

დუვალიე

გამეფებული ნეპოტიზმი, გაუქმებული კონსტიტუცია, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება – ეს ფილიპინების პრეზიდენტის **ფერდინანდ მარკოსის** „დამსახურებებია“. მისი მმართველობის დროს ფილიპინებზე პიროვნების კულტი და ნეპოტიზმი იყო გამეფებული. 1972 წელს მან კონსტიტუცია გააუქმა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მისი ყველა პოლიტიკური ოპონენტი ციხეში აღმოჩნდა, ხოლო 1986 წლის არჩევნებზე მორიგი გაყალბებული გამარჯვების შემდეგ, ფილიპინებზე სამხედრო გადატრიალება მოხდა. ფერდინანდ მარკოსი ჯერ ჰავაის კუნძულებზე, შემდეგ კი აშშ-ში გაიქცა და 1988 წელს გარდაიცვალა.

ირანის უკანასკნელი შაჰი **მუჰამედ რეზა ფეჰლევი** იყო. 1979 წლის ისლამური რევოლუციის შედეგად მისი ავტორიტარული რეჟიმი დაეცა, შაჰი კი ქვეყნიდან 1979 წლის 11 თებერვალს გაიქცა და 1980 წელს ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში გარდაიცვალა.

აკაევი

პერუს პრეზიდენტი **ალბერტო ფუხიმორი** კი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დიქტატორია. მან ჩამოაყალიბა საკონცენტრაციო ბანაკები და „სიკვდილის ესკადრონები“, რომლებსაც „რეჟიმის მტრების“ წინააღმდეგ იყენებდა. 2000 წელს წინასაარჩევნო კამპანიისას მასზე რამდენიმე კომპრომატი გავრცელდა. მათ შორის, ყველაზე რეზონანსული 200 ათასი პერუელის სტერილიზაციაა. ფუხიმორი იაპონიაში გაიქცა, თუმცა 2006 წელს იგი პერუში დააბრუნეს და გაასამართლეს. მიუსაჯეს 7,5 წელი და დააკისრეს 15 მლნ დოლარის ჯარიმა, რომელიც გადაიხადა.

არანაკლები სისასტიკით გამოირჩეოდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჟან-ბედელ ბოკასა**, რომელიც შემდგომში იმპერატორი გახდა. მას მეოცე საუკუნის ყველაზე ექსცენტრიულ და არანორმალურ დიქტატორს უწოდებენ. მის სამეფო გვირგვინს 2000 ბრილიანტი ამშვენებდა მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მშიერი და ღარიბი იყო. ბოკასას მმართველობის პერიოდში განსხვავებული აზრის მქონე პირების წამება და დაპატიმრება ჩვეულებრივი ამბავი იყო. უფრო მეტიც, ბოკასას ბრალს კანიბალიზმშიც კი სდებდნენ. 1979 წელს სკოლის მოსწავლეების დახვრეტის შემდეგ, მან ევროპის მხარდაჭერა დაკარგა, რამაც ტახტი ბუნებრივად დააკარგვინა. ამის შემდეგ, ჟან-ბედელ ბოკასა საფრანგეთში გაიქცა, შემდეგ კი მოულოდნელად დაბრუნდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, რათა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა, მაგრამ გაასამართლეს და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, თუმცა შეიწყალეს და სასჯელად სამუდამო პატიმრობა აკმარეს. მოგვიანებით კი ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდა. გარდაიცვალა 1996 წლის 3 ნოემბერს.

მარკოსი

კანიბალიზმში იყო ეჭვმიტანილი კიდევ ერთი სასტიკი მმართველი **იდი ამინ დადა**. იგი „მისი აღმატებულება მუდმივი პრეზიდენტის“ სახელითაა ცნობილი, რომელიც 1971–1979 წლებში მოღვაწეობდა. დადა აფრიკის ყველაზე სასტიკ, მკაცრ და ტოტალური რეჟიმის დამაარსებლადაა ცნობილი, რომლის მმართველობას 300-დან 500 ათას ადამიანამდე შეეწირა, მათ შორის, 2000 ადამიანი თავად გამოასალმა სიცოცხლეს. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იდი ამინმა ჩამოაყალიბა „ფულის გამომუშავების“ უსასტიკესი და არაადამიანური მეთოდები. მის „ჯალათებს“ შეეძლოთ დაეკავებინათ და მოეკლათ კიდეც ნებისმიერი ადამიანი, მათ ამისთვის არავინ დასჯიდა. ყველაზე ცინიკური ის არის, რომ ოჯახები რომლებიც იდი ამინის რეჟიმმა ისედაც გააუბედურა, საკუთარი ნაწამები და მოკლული ახლობლების ცხედრების გამოსასყიდად ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ სპეციალურად ამ მიზნისთვის დაწესებული თანხები. „უგანდელი ჯოჯოხეთის მოციქულმა“ – ასე უწოდებდნენ იდი ამინს, მმართველობის პერიოდში ხუთი ცოლი გამოიცვალა. როცა მეოთხე ცოლი მოიყვანა, წინა სამი ცოლი სადისტურად დახოცა, ერთმა მუსულმანმა ცოლმა თავს გაქცევით უშველა. იგი „კანიბალი“ გახლდათ და მისი აქტიური პოლიტიკური მოწინააღმდეგეების შეჭმაში ედებოდა ბრალი. იდი ამინი საბოლოოდ ქვეყნიდან საუდის არაბეთში გაიქცა და იქვე აღესრულა. კერძოდ, 1979 წელს იმისათვის, რომ „სამხედრო ტრიბუნალს“ არ გაესამართლებინა (უგანდაში ტანზანიის ჯარების შეჭრის შემდეგ) ქვეყნიდან გაიქცა და 2003 წლის 16 აგვისტოს 75 წლის ასაკში ჯიდაში გარდაიცვალა. იდი ამინმა საკუთარი ერის წინააღმდეგ განახორციელა „გენოციდი“. მან მის ქვეყანას უდანაშაულო ადამიანთა 10 ათასობით მსხვერპლი მოუტანა, ასე-

ბოკასა

ვე, შიმშილი, ტერორი, უბედურება და სწორედ ამიტომაც მოიხსენიებენ მას როგორც „უგანდელი ჯოჯოხეთის მოციქულს“.

ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი **მოშე კაცავი** კი, რომელიც დღემდე გაუპატიურებისთვის იხდიდა სასჯელს, გავრცელებული ინფორმაციით სულ ახლახან ვადაზე ადრე გათავისუფლდა. მოშე კაცავი პრეზიდენტის პოსტიდან სექსუალური სკანდალის გამო გადადგა. 2010 წლის 10 დეკემბერს იგი თელავივის სასამართლომ გაუპატიურების ორ შემთხვევაში და გარყვნილი ქმედების შემთხვევაში დამნაშავედ ცნო და შვიდ წლიანი პატიმრობა შეუფარდა. ისრაელის ციხის მართვის შეწყალების კომისიამ 71 წლის პოლიტიკოსის თხოვნა გაითვალისწინა. ადვოკატის თქმით, კაცავმა ეს ამბავი რომ გაიგო, ტირილი დაიწყო. მან 7-დან 5 წელი მოიხადა. აღსანიშნავია, რომ მოშე კაცავს ბრალი არასოდეს უღიარებია.

ფუჯიმორი

მუგაბე

მსოფლიოში ყველაზე მხცოვანი პრეზიდენტი **რობერტ მუგაბე** კი შინაპატიმრობაში იმყოფება. 14 ნოემბრის საღამოს, ზიმბაბვეს დედაქალაქ ჰარარეში რამდენიმე დასახელების სამხედრო ტექნიკა და ჯავშანტრანსპორტიორი შევიდა. თავდაპირველად, ქალაქში სამი აფეთქების ხმა გაისმა, შემდეგ კი, სახელმწიფო ტელევიზიას დაესხნენ თავს. 15 ნოემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაეპატიმრეს ფინანსთა მინისტრი, 93 წლის პრეზიდენტს რობერტ მუგაბეს კი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ასაკოვანი ლიდერია, შინაპატიმრობა მიუსაჯეს. აქვე უნდა ითქვას, რომ 2002 წელს მუგაბემ ქვეყნიდან ოთხი ათასზე მეტი თეთრკანიანი ფერმერი თავისუფლების აღკვეთის მუქარით გააძევა და შედეგად, ევროკავშირის სანქციები „დაიმსახურა“. იგი ქვეყნის პრეზიდენტად ექვსჯერ იქნა არჩეული. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ერთპარტიული მმართველობა შემოიღო. თუმცა, 2008 წლის არჩევნებში, მუგაბემ პირველ ტურში, დემოკრატიული მოძრაობის ლიდერთან მორგან ცვინგირაისთან წააგო, მაგრამ ხელისუფლების ზეწოლით, ცვინგირაიმ მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი თქვა. შინაპატიმრობაში მყოფ ზიმბაბვეს პრეზიდენტს ახლა ადამიანის უფლებათა დარღვევასა და დიქტატურაში ადანაშაულებენ.


კაცავი

ქვეყნიდან გაქცეულთა შორისაა უკრაინის პრეზიდენტი **ვიქტორ იანუკოვიჩი**. მან ქვეყანა 2013 წელს დაწყებული ანტისახელისუფლებო აქციების გამო დატოვა. კიევის დამოუკიდებლობის მოედანზე მომიტინგეების დახვრეტის შემდეგ, რასაც 100-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, იანუკოვიჩი და მისი გუნდის უდიდესი ნაწილი რუსეთში გადაბარგდნენ.

დაბოლოს, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**, რომელმაც საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ქვეყანა დატოვა და აშშ-ში გაემგზავრა, სადაც ლექციების კურსს კითხულობდა. იგი ქვეყნიდან გაქცეული პრეზიდენტების ათეულშია შესული. 2014 წლის გაზაფხულზე, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სააკაშვილი მოწმის სახით დაკითხვაზე რამდენჯერმე დაიბარა, თუმცა, სააკაშვილი საგამოძიებო ორგანოში არცერთხელ არ გამოცხადებულა. 28 ივლისს მთავარმა პროკურატურამ სააკაშვილი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. პროკურატურის ინფორმაციით, საქმე ეხებოდა 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას. მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბრალდების შესახებ დადგენილებები გამოიტანეს ასევე, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის, ყოფილი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილისა და თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას მიმართ. 2014 წლის 2 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ადეიშვილსა და დავით კეზერაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა ბრალდებულების დაუსწრებლად შეუფარდა.

ზემოხსენებულ პრეზიდენტთაგან, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სასჯელით გასამართლდნენ, თუ კარგად დავაკვირდებით საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მათზე თუ მეტად არა ბევრად არ განსხვავდება. მასაც არანაკლები დანაშაულობები აქვს ჩადენილი ერისა და ქვეყნის წინაშე, თუმცა, იგი ქვეყნიდან ქვეყანაში უპასპორტოდ, თავისუფლად დაპარპაშობს და საქართველოს მერე ახლა უკრაინის „დასალაგებლად“ ემზადება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– არ მყავს ქმარ-შვილი. ჩემი ქონება ანდერძით მსურს დავუტოვო ჩემს ერთ-ერთ ძმისშვილს. ხომ არ შეექმნება პრობლემა მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან?

– თუ თქვენ ანდერძით დაუტოვებთ თქვენს ქონებას ერთ-ერთ ძმისშვილს, მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან არ შეექმნება პრობლემა, რადგან ძმისშვილები არიან მე-2 რიგის მემკვიდრეები და ისინი სავალდებულო წილის უფლებით ვერაფერს მოითხოვენ. სავალდებულო წილის უფლების მოთხოვნით სარგებლობენ მხოლოდ 1-ლი რიგის მემკვიდრეები.

* * *

– რას ნიშნავს დანაშაულის რეციდივი?

– თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 17. დანაშაულის რეციდივი

1. დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

2. ამოღებულია (22.06. 2007 N5035)

3. ამოღებულია (22.06. 2007 N5035)

4. დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია ამ კოდექსის 79ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

5. დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით და დადგენილ ფარგლებში შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი.

* * *

– ჩემს შვილს ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენისათვის შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. გთხოვთ, გაგვაცნოთ ამ სასჯელის პირობები.

– თქვენთის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულყოფილად:

მუხლი 44. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

1. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის თავისუფალ დროს უსასყიდლო შრომას, რომლის საზეს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ხოლო ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ან თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება – სასამართლო.

2. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. ჯარიმის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში, ან ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანდა თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს.

3. თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან ჯიუტად თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის რვა საათი – თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე, თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს.

5. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახით გათვალისწინებული არ არის.

* * *

– ჩემი შვილის მიმართ სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი. შეუძლია თუ არა მას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება?

რა თქმა უნდა, თქვენს შვილს შეუძლია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამართალმწამოებელთა მხრიდან უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური/ იგულისხმება ხარჯები, მათ შორის, ადვოკატის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები, გზის ხარჯები, პატიმრის შენახვის ხარჯები და ა. შ. დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტებით/, ფიზიკური/ იგულისხმება ჯანმრთელობის შერყევასთან დაკავშირებული ხარჯები, დადასტურებული შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტებით და სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნით/ და მორალური ზიანის ანაზღაურება.

საახალწლო ამბები

მიწის (ყვითელი) ძაღლის წელიწადი

ამბობენ, ახალ წელს როგორც შეხვდები, მთელ წელს ისე გაატარებო. ამიტომ 2018 წლის შესახვედრად საფუძვლიანად უნდა მოემზადოთ. ამგვარად თქვენ კოლეგებს, ახლობლებს, ოჯახის წევრებს და დადებითი ემოციებით აღსავსე დღესასწაულს აჩუქებთ და მომავალი წლის სიმბოლოს – მიწის ყვითელ ძაღლსაც ასიამოვნებთ.

ის ადამიანები, რომლებიც ძაღლის წელში დაიბადნენ, ხასიათით დამოუკიდებლები, გულწრფელები, ერთგულები, თავდაჯერებულები, ცნობისმოყვარეები და კეთილგანწყობილები არიან, არ ეშინიათ სიძნელეების და მომავლისკენ მტკიცედ იყურებიან.

ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით ძაღლის წლის თვისებებია:

– დადებითი თვისებები: სიმამაცე, ერთგულება, პასუხისმგებლობის გრძნობა.

– უარყოფითი თვისებები: მგრძნობიარობა, სიჯიუტე და კონსერვატიულობა.

– ჩინურ კალენდარში თარიღები მთვარის ფაზებზეა დამოკიდებული. ძაღლის წელი 2018 წლის 16 თებერვალს შედის ძალაში.

– ჩინური კალენდრის მიხედვით, ცეცხლოვან სტიქიას მიწის სტიქია ენაცვლება, ამიტომ 2018 წელი მიწის, ანუ ყვითელი ძაღლის წელია.

– ჩინეთში ძაღლი მყარი ოჯახური ურთიერთობების სიმბოლოა, ამიტომ ახალ წელს ოჯახის წევრებთან და ყველაზე ერთგულ მეგობრებთან ერთად შეხვდი თ.

– წლის მთავარი ფერებია ყვითელი, ოქროსფერი და ნარინჯისფერი.

– ძაღლს ხორცი უყვარს, ამიტომ საახალწლო სუფრისთვის შეგიძლიათ ხორცის მრავალფეროვანი კერძები მოამზადოთ.

– ჩინელი ასტროლოგების მტკიცებით, ძაღლს მოგზაურობა უყვარს, ამიტომ შეგიძლიათ სამოგზაუროდ რომელიმე ეგზოტიკურ ქვეყანაში გაემგზავროთ.

– ძაღლი მხიარული და სიცოცხლის მოყვარული არსებაა, ამიტომ ახალ წელს ხმაურიანად და ხალისით შეხვდით.

სახლის მომზადება ახალი წლისთვის. ძაღლი ოჯახის ცხოველია და გადამეტებული სიმდიდრე არ იზიდავს. სახლის გაფორმებისას უპირატესობა მიანიჭეთ კლასიკურ ტრადიციებს (ნაძვის ტოტები, გირჩები, წითელი ბაფთები, ფიფქები, სხვადასხვა ფერის „წვიმები“ სადღესასწაულო განწყობას შექმნის). დადგით ძაღლების ფიგურები.

ნაძვის ხის მორთვა ახალი წლისთვის. ძაღლისთვის სულ ერთია, როგორ ნაძვისხეს დადგამთ – ბუნებრივს თუ ხელოვნურს, მთავარია, როგორ მორთავთ მას:

შეარჩიეთ ყვითელი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი და წითელი ფერის სათამაშოები. „წვიმაც“ ასეთივე ფერის უნდა იყოს. ძაღლს ძალიან მოსწონს გამხმარი ბალახებისგან და ხის ტოტებისგან დამზადებული ატრიბუტიკა.

საახალწლო სადღესასწაულო ზეიმის მთავარი ფიგურა მომავალი წლის სიმბოლო უნდა იყოს.

როგორ დაიწყო ახალი წლის აღნიშვნა

ახალი წლის აღნიშვნა 25 საუკუნის წინათ დაიწყეს. თავიდან ეს ტრადიცია მესოპოტამიაში გაჩნდა (შუამდინარეთი). მეცნიერების აზრით, სამი ათასი წლის წინათ სწორედ აქ დაიწყეს ახალიწლის აღნიშვნა.

სამიწათმოქმედო სამუშაოები მარტის ბოლოს იწყებოდა, როცა ტიგროსსა და ევფრატში წყლის დონე მატულობდა. 12 დღის განმავლობაში ამას კარნავალებითა და ზეიმით აღნიშნავდნენ წარმართული წესით. ერთ-ერთ თიხის ფირფიტაზე ამოტვიფრული ლურსმული „ნაწერების“ თანახმად, ამ დღეებში ყველაფერი ყირაზე დგებოდა და მონა ბატონად იქცეოდა.

თავად კარნავალი ბაბილონურად „ხომალდ-ზღვას“ ნიშნავს და, ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რადგან საახალწლო ზეიმის მრავალი რიტუალი დაკავშირებული იყო მდინარე ევფრატზე ღმერთ მორდუკის წარმოსახვით მოგზაურობასთან. მისტერიის ერთ დღეს გამოსახავდნენ მარდუკის ბრძოლას ქაოსის ქალღმერთ ტიამატის ურჩხულთან, რომელიც დრაკონს ჰგავს.

ნაბუქოდონოსორის მმართველობის დროს ბაბილონში ტყვედ მყოფმა იუდეველებმა ამ დღესასწაულის აღნიშვნა გადაიღეს, იუდეველებისგან ახალიწლის აღნიშვნა ბერძნებთან, შემდეგ კი დასავლეთ ევროპის ხალხებში გადავიდა.

ყველაზე ძვირადღირებული ნაძვისხეები

ყველაზე ძვირადღირებულ ნაძვისხეებს შორის **მეხუთე ადგილი** კაპიტოლიუმის ნაძვისხემ დაიკავა, რომელიც 1.000.000 დოლარი დაჯდა.

აშშ-ის მთავარი საშობაო ნაძვისხე ნიუ-იორკის ცენტრში **Rokfeler-Plaza**-ზე დგას. მასთან გაჯიბრება მხოლოდ იმ ნაძვს შეუძლია, რომელსაც ვაშინგტონის კაპიტოლიუმთან დგამენ. სათბურში გაზრდილი ნაძძის ხის სიმაღლე 20 მეტრზე მეტია და ადგილზე მის გადასატანად თითქმის მთელი ქვეყნის გავლაა საჭირო. საშობაო ნაძვსხის მოსართავად გამოყენებულია ათასობით ნათურას, რომლებიც მჭიდროდ არის დამაგრებული ტოტებზე.

მეოთხე ადგილზე გავიდა ბრილიანტის ნაძვისხე, რომელიც 1.005.000 დოლარი ღირს. საიუველირო სახლის **Soo Kee**-ს (სინგაპური) წარმომადგენლების აზრით, საშობაო ნაძვისხის სათამაშოებით მორთვა დიდი ხანია, მოძველდა. ამიტომ გადაწყვიტეს მისი მორთვა 21.798 ბრილიანტით, რომელთა საერთო წონა 913 კარატია და 3.762 ბროლის მძივით, რომლებიც ტოტებზე ბრწყინავდნენ. გარდა ამისა, ეს ყველაფერი გაანათა ხუთასამდე ნათურამ. ერთ-ერთ უდიდეს სავაჭრო ცენტრში მდგარი ამ ექვსმეტრიან სამტონიან მშვენებას დღე და ღამე იცავდნენ.

მესამე ადგილი დაიკავა ვარდებისგან დამზადებულმა ნაძვისხემ, რომლის ღირებულებამ 1.800.000 დოლარი შეადგინა. სულაც არ არის საჭირო, ნაძვისხე ყველაზე მაღალი იყოს, ყველაზე ძვირი რომ ღირდეს. ეს დაამტკიცა პატარა ნაძვისხემ, რომელიც იაპონური ქსელის **Takashimaya**-ს ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში შეიტანეს გასაყიდად 2007 წელს. ნაძვისხის დიზაინი ფრანგული ყვავილების ბუტიკთან **Claude Quancaud**-ის დიზაინერებთან ერთად შეიქმნა. ეს საშობაო სილამაზე ასობით გამხმარი პატარა ვარდისგან იყო დამზადებული, რომლის ყოველ ფურცელზე ბრილიანტები ბრწყინავდა. ძვირფასი ქვები (400 ქვა, წონით 100 კარატი) ჩამოიტანეს ავსტრალიიდან და სამხრეთ აფრიკიდან). ხის დამატება დათუნია ტედი გახლდათ, რომელსაც ბრილიანტით მოოჭვილი საყელური ჰქონდა, მაგრამ ასეთი ნაძვით სახლის მორთვის მსურველი არ გამოჩენილა.

მეორე ადგილი დაიკავა ოქროსგან დამზადებულმა ნაძვისხემ, რომლის ღირებულება 4.200.000 დოლარი იყო. დეკემბრის პირველ რიცხვებში იაპონელი იუველირის გინზა ტანაკას საფირმო მაღაზიაში დადგეს საშობაო ნაძვისხე, რომლის დასამზადებლად გამოიყენეს 400 კგ ოქრო. ის მრავალიარუსიანი კარუსელს წააგავს, რომელსაც ცხენების ნაცვლად მიკი მაუსი, კონკია, პინოქიო და დისნეის მულტფილმების სხვა გმირები ამშვენებს.

პირველი ადგილი დაიკავა ძვირფასი ქვებით მორთულმა ნაძვისხემ, რომლის ღირებულება 11.000.000 ამერიკული დოლარია. სად შეიძლებოდა დაედგათ ისტორიაში ყველაზე ძვირფასი ნაძვისხე, თუ არა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში? 2010 წელს ამ ნაძვისხემ დაამშვენა აბუ დაბიში მდებარე ლუქს-სასტუმრო **Emirates Palace.** ნაძვისხის სათამაშოების ღირებულება, რომლებიც ბრილიანტისგან, მარგალიტისგან, ოქროსგან, ზურმუხტისა და საფირონებისგან იყო დამზადებული, რამდენიმე მილიონი დოლარი იყო. გარდა ამისა, ხეზე მოათავსეს ძვირფასი საიუველირო ნაწარმი: საათები, სამაჯურები და სამკაულები.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. ალაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com